# დღეს დიდგორობა და ცოტნეობაა!



ჭაბუკო! რადგან ამოხველ დიდგორს, ყური მიუგდე ამ არემარეს, აქ წუთიერად შენი წინაპრის გვერდში აღმოჩნდები, ხმლის ვადაზე ხელჩაბღუჯულს შემოგესმება ჟღარუნი თორის, ცხენთა ჭიხვინი, მხედართა ყიჟინა და ბუკის ხმა გამარჯვებულთა. სიამაყით აგიძგერდება გული და მიხვდები, რომ ღირსეული წინაპრების შვილი ხარ, რომლებმაც ურიცხვ დამპყრობელთა დამარცხება შეძლეს, მიხვდები იმასაც, რომ დღეს შენი საფიქრალია, როგორ განამტკიცო და აღაშენო შენი ქვეყანა — საქართველო, რომლის გადასარჩენად თავს არ ზოგავდა შენი წინაპარი.

მერაბ ბერძენიშვილი

კვლავ შამქორულად
გნოლზე, ვით ქორი!
სიცოცხლე
იქამც დაგვეზოგება...

ეს გაუმარჯოს
ერთი დიდგორით
ყველა წაგებულ
ომის მოგებას!..

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 12 აგვისტო, 2014 წელი.

№158 (7539)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## დიდგორობაზე!..

კვლავ ქუდზე კაცი დიდგორის ველზე!
სპა მისი ისევ მოსდგეს ჯარადა!...
აქედან უკეთ მოჩანს კრწანისი;
ზედ ხელისგულზე იწვის მარაბდა!..
აქ იმწყერ-ქორა!.. და აქ დანაყრდა
ქართველი — ომით გაუმაძღარი!
ნიში კი არა, თითო დიდგორელს
ზედ თითო უნდა ენთოს... ტაძარი!..
აქ უკუჰყარა მტერმა ქოშები
და უირაოდ დაძღნენ ძერანი;
აქ ქარს თიბავდნენ ჩვენი დროშები
— ამ თრიალეთის
მთებისფერანი!
აქა ბრდღვნიდა ის ლომთალომი,
ვინც „გალობანი" წარსთქვა — აბჯრიან...
ვინც გაიხადა დიდგორის ომი
ჯაჭვისპერანგად და შეგვანჯღრია!
აქ სხვა რინდია აწ და მარადის...
აქ დაუჩოქა პირჯვარს ნამაზმა!
და მზეც კრძალვით და
რიდით გადადის,
ვით თავზე გამდლის
ხელის გადასმა.
აქ მოყმის დედას არ უტირია;
აქ საქართველოს სული გადარჩა;
აქ ღალატის გზა ჩახერგილია
და გასაძვრომი ჭვრიტეც არა ჩანს!
მაშ... კვლავ დიდგორულ
მოდგეს სპა — მისი!
ჟამია ჯეჯილ მტერთა
მკათათვის!
აქედან... მწარედ მოჩანს კრწანისი
და შიშველ ხმლებზე
მთვარე გადადის!..

ლაშა გახარია

## ცოტნე დადიანი

მეგრულ სიმღერებიდან თუ მეგრული მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც მოდიდდა.

იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან,
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?

მთვარის ყაზალახიანი, ღამის ნაზდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.

რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები მონგოლთა,
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!
– მაშ გაფრინდი, ბედაურო, გრძელფაფარა, კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა, არც ძილი,–
ახრამუნე ჰორიზონტი, გადახუხე მანძილი,
ჩქაროზს, ჩქაროზს, ჩქაროზს ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანის რაინდული გული.
ისევ ისმის თქარუნი და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ აჩრდილს.
მოჭენაობს, მოგელავს თოხარიკით, ჩორთით,
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი.
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად თქმული,
პატარა საქართველოს რაინდული გული.

შოთა ნიშნიანიძე



გიორგი გეგეჭკორის ნახატი

წინ, საქართველო! პაპანაქება ზაფხულში... კვლავაც გაგვახარეთ ბიჭებო!



10

გვიყვარდეს ქართული ოცნება საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი ქართულ ოცნებაში

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მეზობლებთან

# ერდოღანი თურქეთის პრეზიდენტია!



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რეჯეფ თაიფ ერდოღანს თურქეთის პრეზიდენტად არჩევას ულოცავს. როგორც გიორგი მარგველაშვილის მისალოცშია ნათქვამი, ერდოღანის მეთაურობით თურქეთი, რომელიც საქართველოს მეგობარი და უახლოესი პარტნიორია, წარმატებულად ვითარდება.

**„გულითადად მინდა, მოგილოცოთ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა და გისურვოთ წარმატებები თქვენს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. მოხარული ვარ, რომ თურქეთის რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს მეგობარი და უახლოესი პარტნიორია, თქვენი ხელმძღვანელობით წარმატებულად ვითარდება, რაც აისახა კიდეც არჩევნების შედეგებზე. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ძალისხმევით, თურქეთი კვლავაც განაგრძობს წინსვლას და აღმავლობას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ურთიერთმხარდაჭერისა და მეგობრობის პრინციპებს ეფუძნება, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება საქართველოსა და თურქეთის საკეთილდღეოდ. თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გადმოგცეთ ჩემი გულითადი მილოცვა და გისურვოთ წარმატებული საქმიანობა პრეზიდენტის პოსტზე“,** — ნათქვამია მისალოცში.

## ირაკლი ღარიბაშვილმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა

**— მინდა, გულითადად მოგილოცოთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და გისურვოთ წარმატებები თქვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.**

**არჩევნებმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა თურქეთის მოქალაქეთა მტკიცე მხარდაჭერა თქვენი ხელმძღვანელობით თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული რეფორმებისადმი, რომელთა შედეგადაც თურქეთმა დაძლია არაერთი გამოწვევა და მიაღწია ეკონომიკურ წარმატებებს.**

**საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი და ხალხთაშორისი კავშირების შემდგომ განვითარებას თურქეთთან. ჩვენთვის ძალზე ფასეულია, რომ წლების მანძილზე განუზომელი წვლილი შეგაქვთ საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალში კვლავაც წარმატებულად გაგრძელდება ჩვენი ქვეყნებისა და მთელი რეგიონის საკეთილდღეოდ.**

**თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გადმოგცეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო, —** ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

## პურზაური გრიფ „საიდუმლოს“ ირგვლივ

**მთავარი პროკურატურა უშიშროების საბჭოს მდივნის ირინე იმერლიშვილის კითხვას იმის თაობაზე, ედო თუ არა გრიფი „საიდუმლო“ მთავარი პროკურატურის მიერ პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილს, უპასუხოდ ტოვებს.**

— ჩვენ ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებთ. გავაკეთეთ განცხადება, რომ პროკურატურას არ გაუსაჯაროებია არანაირი დოკუმენტი, რომელიც საიდუმლოებას შეიცავდა. ჩვენი პოზიცია დღესაც ეს არის, — განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში იმ კითხვის საპასუხოდ, ედო თუ არა გრიფი „საიდუმლო“ პროკურატურის მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილ წერილებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით პრესაში გავრცელდა.

საქართველოს პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარმა პროკურატურამ, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით გაასაჯაროვა საიდუმლო მიმოწერა მთავარ პროკურატურასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის და შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების შედეგებზე მეთვალყურეს, მიმართა, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება. საქმე ეხება პროკურატურის მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილ ორ წერილს (12 ივლისს და 6 აგვისტოს), რომელშიც პროკურატურა პრეზიდენტს სთხოვდა 2009-2013 წლებში სდსს-ისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მასალების ნაწილისთვის გრიფის „საიდუმლო“ მოხსნას.




პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა წერილს პროკურატურის მხრიდან დაედო გრიფი „საიდუმლო“, ე.ი. კანონმდებლობის მიხედვით, საქმე გვაქვს საიდუმლო წარმოებასთან, თუმცა, პროკურატურის მიერ მოხდა წერილების გაგზავნის ფაქტისა და შინაარსის ნაწილობრივი გასაჯაროება მედიასთან მაშინ, როცა მათ გრიფი მინიჭებული ჰქონდა თავად პროკურატურის მხრიდან.

მთავარი პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების ფაქტს ადგილი არ ჰქონია“.

# ძვირფასო სენატორებო, არავინ დგას კანონზე მაღლა!

## ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელ სენატორებს საპასუხო წერილს უგზავნის



**გთავაზობთ ამ წერილს, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.**

„ძვირფასო სენატორო მაკკეინ, ძვირფასო სენატორო რიშ! ძვირფასო სენატორო რუბიო! ძვირფასო სენატორო შაჰინ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი 2014 წლის პირველი აგვისტოს წერილისათვის. მივესალმები, რომ თქვენ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები წამოსწიეთ. მე ძალიან ვაფასებ თქვენს მეგობრობას და იმ მხარდაჭერას, რომელსაც თქვენ გამოხატავთ ქართველი ხალხის, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარების მიმართ.

სავსებით გეთანხმებით, რომ სიცოცხლისუნარიანი და კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობა მნიშვნელოვანია. მე მზად ვარ, ვითანამშრომლო ნებისმიერ ადამიანთან საქართველოში, რომელსაც შესწევს უნარი, გაგვიწიოს კონსტრუქციული პარტნიორობა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ასეთი თანამშრომლობის გაგრძელებისათვის, ჩვენ ბევრი ამჟამინდელი პოლიტიკური და საკანონმდებლო გადაწყვეტილება მივიღეთ ოპოზიციის მნიშვნელოვანი თანამონაწილეობით.

მე გეთანხმებით იმაშიც, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ წაყენებული ბრალდებების პროცესი უნდა წარიმართოს ყოველგვარი ხარვეზის გარეშე და ყველა საქმე უნდა იქნეს გამოძიებული სამართლიანად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად.

სახიფათო მეზობლობით დაწყებული და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების საჭიროებით დამთავრებული, საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ჩვენი მთავრობა ქვეყნის სათავეში მოვიდა იმისათვის, რომ გაეხსნა საქართველოს სრული ეკონომიკური პოტენციალი და განეხორციელებინა ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მაგრამ ორივე ეს მისწრაფება, ისევე როგორც ქართველი ხალხის უსაფრთხოება, მოითხოვს რეალურ დემოკრატიას. ჩვენ აგვირჩიეს იმისათვის, რომ აგვეშენებინა თანამედროვე დემოკრატია, დაგვეცვა ადამიანის უფლებები, დაგვეყენებინა ჩვენი ხალხი განვითარების შეუქცევად გზაზე და უზრუნველგვეყო, რომ ეს წინსვლა ვერ შეაჩეროს ვერც ერთმა მომდევნო მთავრობამ, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა.

ჩვენ ამ გეგმის ბევრი პუნქტი შევასრულეთ. ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება, რომ განგვეხორციელებინა ის რეფორმები, რომლებსაც ჩვენგან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება მოითხოვდა. ჩვენ გადავეცით მეტი ძალაუფლება ხალხს, გავზარდეთ საარჩევნო ბარიერი და მეტი უფლება მივეცით თვითმმართველობას. ჩვენ ვახორციელებთ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას, რომელიც შემუშავებული იყო ევროკავშირთან ერთად. ჩვენ ვაწესრიგებთ ჩვენს კონსტიტუციას, რომელიც უპრინციპოდ იყო გადაკეთებულ-გადმოკეთებული წინა ხელისუფლების მიერ მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

**ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს უამრავი საქმე, რომელიც დაკავშირებულია წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევასთან, რომელიც დღემდე უყურადღებოდ იყო დატოვებული.**

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენ მიერ ამ წერილში დასმულ საკითხთა შორის — ჩვენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები კანონის უზენაესობის აღსადგენად და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად. დღევანდელი ქართული სასამართლო სისტემა რადიკალურად განსხვავდება იმ სისტემისგან, რომელიც თქვენ იხილეთ, როდესაც ბოლოს ბრძანდებოდით საქართველოში. ჩვენ მოვსპეთ გამოძალვაზე დაფუძნებული საპროცესო გარიგების სისტემა და წამება ციხეებში. დღეს მოსამართლეები არიან დამოუკიდებელი, პროკურატურა აღარ არის დამოკიდებული მთავრობაზე და ბრალდებულებს მრავალი ახალი უფლება მიენიჭათ.

ჩვენ აგრეთვე უნდა უზრუნველვყოთ, რომ ეს ახალი სისტემა თანასწორად განიხილავდეს ყველას, მათ შორის, სახელმწიფო მოხელეებს. ჩვენ გვინდა იმ სტანდარტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განვსჯით მომავალ პოლიტიკურ ლიდერებს და შევქმნით სამართლიან სისტემას. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საჯარო მოხელის მიერ კანონდარღვევის შემთხვევაში, მისი პასუხისგებაში მიცემა იშვიათად ხდებოდა, — ამას ბოლო უნდა მოეღოს და ჩვენ უნდა დავამკვიდროთ უფრო მაღალი სტანდარტი. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის 23 ივლისის ანგარიშში ამის თაობაზე ნათქვამია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს უამრავი საქმე, რომელიც დაკავშირებულია წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევასთან, რომელიც დღემდე უყურადღებოდ იყო დატოვებული.

ჩვენი მთავრობა ამის გამო აირჩიეს, და, ჩვენი ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მთავრობისგან დამოუკიდებელ პროკურატურას მიენიჭა უფლება, გამოიძიოს წინა და ახლანდელი სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი მძიმე კანონდარღვევები. ეს არ არის ცალმხრივი — ჩვენი მთავრობის სოფლის მეურნეობის მინისტრი გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს მიესაჯა ერთწლიანი პირობითი სასჯელი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის გამო. რამდენიმე დაბალი რანგის მოხელე და ოფიციალური პირი ასევე მიეცა პასუხისგებაში. მეც საჯაროდ განვაცხადე, რომ თუ თანამდებობაზე ყოფნისას ოდესმე დავარღვევ კანონს, მზად ვარ, წავიდე ციხეში.

მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი პროკურორი თავად განსაზღვრავს, რომელი საქმე აწარმოოს, ჩემი პოლიტიკური ჩარევა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების საქმეში, სრულიად გააუფასურებდა იმ გამოცდილებას, რომელიც ჩვენ გვინდა გავუზიაროთ ქართველ ხალხს — არავინ არ დგას კანონზე მაღლა და ჩვენი მზარდი სასამართლო სისტემა არ გადაიქცევა ადამიანთა მცირე ჯგუფის ინტერესების დამცველად.

გულწრფელად გთხოვთ, თვალყური მიადევნოთ ამ სასამართლო პროცესებს და ჩამობრძანდეთ საქართველოში, რათა უშუალოდ დაესწროთ საქმის მსვლელობას. მე მოგიწოდებთ, შეისწავლოთ მიმდინარე სასამართლო პროცესები, რომლებმაც აქამდე საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან მაღალი შეფასება მიიღეს, რათა თავად დარწმუნდეთ, რომ ბრალდებულთა სასამართლომ კანონის დაცვით ჩაიარა. პროკურორმა უნდა მოახერხოს საქმის სამართლიანად წარმოება და დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა. და თუ ის ამას ვერ შესძლებს, ბრალდებული გამართლდება.

ჩემი ქვეყანა თავის მომავალს ურყევად ხედავს დასავლეთთან ინტეგრაციაში. ჩვენი სვლა ამ გზაზე დაკავშირებულია ბევრ ხიფათთან — ჩვენი ქვეყნის ნაწილი უკანონოდ აქვს ოკუპირებული რუსეთს და სულ ახლახან, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო, მათ გაგვიუქმეს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, ჩვენი მთავრობა და ქართველი ხალხი ამ მიზნის ერთგული რჩება. ჩვენ არ ვაპირებთ ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც ხელს შეუშლის ჩვენს მისწრაფებებს. ჩვენ გვჯერა, რომ წარმატებული სასამართლო პროცესი უფრო გააღრმავებს ჩვენს წინსვლას დემოკრატიისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ერი გულწრფელად მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე და უპირობო მხარდაჭერას. თქვენთან და ჩვენს სხვა დასავლელ პარტნიორებთან ერთად, ჩვენ ვაშენებთ თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებითა და დინამიკური ეკონომიკით. ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა გადამწყვეტია იმისათვის, რომ საქართველოში გამჭვირვალე და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა მოქმედებდეს.

ჩვენ პასუხს ვაგებთ ქართველი ხალხის წინაშე იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ქართული სახელმწიფოს წინსვლა კონსოლიდირებული დემოკრატიის შენების შეუქცევად გზაზე, რაც მიუღწევადია, თუ არ ვაღიარებთ იმას, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა. ჩვენ გვჯერა იმის, რომ დრო გვიჩვენებს — **ჩვენი ძალისხმევა, მიმართული დაუსჯელობის პოლიტიკის აღკვეთისაკენ, საქართველოს აქცევს უფრო ძლიერ ქვეყნად და მოკავშირედ.**

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი რჩევისათვის, ჩემი მთავრობისა და ქართველი ხალხის მიმართ თქვენი თანამიმდევრული, ხანგრძლივი და მტკიცე მხარდაჭერისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ხელისუფლებაში. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალშიც გამიზიარებთ თქვენს კრიტიკულ მოსაზრებებს და ამასთან გამოხატავთ მზადყოფნას, რომ ერთობლივად გადავწყვიტოთ ისინი, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის საპასუხო წერილში.

## რას მალავდა გრიფი „საიდუმლო?“

# თბილისის ექს-მერს ახალი ბრალდებების წარედგინება?

### რატომ ინახავდა ზურაბ ადეიშვილი გიგი უგულავას საწინააღმდეგო დასკვნას და ვინ ლობირებს გიგი უგულავას პროკურატურაში?

**2005-2006 წლებში თბილისის მერიაში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევების შესახებ კონტროლის პალატის დოკუმენტი, მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა საგანგებოდ გადამალა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი კბილაშვილის უწყებამ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ გადამალული დოკუმენტების სამალავს მიაკვლია.**

**„ექსკლუზივნიუსმა“ გენერალური პროკურატურის „გრიფით საიდუმლო“ დოკუმენტების სამალავიდან ერთი ისეთი დოკუმენტი მოიპოვა, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, ქალაქის მერს გიგი უგულავას და მის რამდენიმე თანამზრახველს სასამართლოს წინაშე წარდგომა არ ასცდება. შევეცდებით თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ დარღვევებზე, რომლებიც კონტროლის პალატამ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მერიის ერთ-ერთ სამსახურში აღმოაჩინა. ამავე დოკუმენტში ლაპარაკია ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონი ლარის გაფლანგვის თაობაზე, რაშიც 2005-2006 წლებში ქალაქის მერთან გიგი უგულავასთან ერთად, კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელები ტარიელ ხიზანეიშვილი და კობა სუბელიანიც მონაწილეობდნენ.**

ქალაქ თბილისის საკრებულომ 2005 წელს კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება თავიდან 90,8 მილიონი ლარით განსაზღვრა, რაც წლის განმავლობაში 19-ჯერ შეიცვალა და დაფინანსების გეგმა 35,1 მილიონი ლარით გაიზარდა. ჯამში ამ თანხამ 133,9 მილიონი ლარი შეადგინა. 2006 წლის 9 თვე კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 85 მილიონი ლარით განისაზღვრა. ამ პერიოდში კი 13-ჯერ შევიდა ბიუჯეტში ცვლილება და საბოლოოდ დაფინანსება 164,2 მილიონი ლარით განისაზღვრა.

**კომპლექსურმა რევიზიამ გამოავლინა, რომ კეთილმოწყობის სამსახურმა რეგიონებში შეასრულა სამუშაოები და არამიზნობრივად გახარჯა თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტის თანხები) იმ ობიექტების კეთილმოწყობისთვის, რომელთა შესრულებაც კანონით არ ევალებოდათ.**

ასე, მაგალითად, ქალაქ ზუგდიდში შადრევნის აგება 292 ათასი ლარი დაჯდა, დადიანის სასახლის ჭიშკარი – 46 ათასი ლარი. 380 ათასი ლარია გაცემული რეგიონების 20 ქალაქში გარე განათების ლამპიონების შესაძენად. ლამპიონები ქალაქების ხელმძღვანელ პირებს ჩაბარდათ ისე, რომ არ იყო მითითებული მათი ღირებულება, **რაც აღძრავს ეჭვს, რომ ბიუჯეტის კუთვნილი მილიონობით ლარი გაფლანგეს და მიითვისეს თბილისის მერიის ხელმძღვანელმა პირებმა...** ბათუმში კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გადაირიცხა 563 ათასი ლარი, ფოლკლორის ფესტივალისთვის – 98 ათასი ლარი, საბავშვო ატრაქციონისთვის კი – 190, 8 ათასი ლარი. ასევე, თბილისის მერია აფინანსებდა შენობა-ნაგებობების ფასადებისა და სკოლების კეთილმოწყობის სამუშაოებს, **რის უფლებაც კანონით არ ჰქონდა, რადგანაც არ იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.**

2005 წლის მეორე ნახევარში გზის საფარის სამუშაოებზე დაიხარჯა 52,5 მილიონი ლარი. სამუშაოები შეასრულა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან – ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავასთან დაახლოებულმა 9 საწარმომ, მათ შორისაა შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი,“ რომლის მფლობელიც გახდა ვანო მერაბიშვილის ახლო მეგობარი, დასაქმების ყოფილი მინისტრი პაატა ტრაპაიძე და, ამასთან ერთად, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოში თითქმის ყველა ხიდის მშენებლობის ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. სწორედ „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ დააგო ავტობანი და ააშენა ყველა ხიდი საქართველოში, თვით ანაკლიის წყალწაღებული ხიდიც კი პაატა ტრაპაიძის კუთვნილი საწარმოს აშენებულია. შემოწმებით კი გაირკვა, რომ გახარჯული თანხები, შესრულებულ სამუშაოებთან შედარებით მიზანმიმართულად არის გაბერილი. **კონტროლის პალატის სარევიზიო კომპლექსურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ ქალაქის მერიამ თავისივე დაქვემდებარებულ კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად, ბიუჯეტის კუთვნილი 133, 9 მილიონი ლარი არამიზნობრივად გახარჯა. დაირღვა კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის შესახებ.**

უფრო კონკრეტულად კი, კონტროლის პალატის შემოწმების აქტში წერია, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა ხსენებული სამუშაოების შესრულებით დაარღვია კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის, პირველი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-10 პუნქტების., მე-6 და 34-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, ასევე საქართველოს დედაქალაქის „თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მოთხოვნები.

2005 წლის მე-2 ნახევარში შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა დაფინანსებამ 95,7 მილიონი ლარი(გეგმის 71,4 %)შეადგინა, მათ შორის, საგზაო საფარის აღდგენით სამუშაოებზე 60,8 მილიონი ლარი, გარე განათებისთვის ქსელის ექსპლოატაციაზე 7, 5 მილიონი ლარი, სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაციაზე 467,2 ათასი ლარი, ღია ნაგავსაყრელის პოლიგონების მოვლაზე 567,8 ათასი ლარი, ქალაქის გაფორმების ღონისძიებებზე 1, 2 მილიონი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოვლაზე 25,2 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობათა მოვლაზე 297,8 ათასი ლარი, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობაზე 323,8 ათასი ლარი, თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობაზე 106,2 ათასი ლარი, ფასადების შეკეთების სამუშაოებზე 14,0 მილიონი ლარი, კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებებზე 6,2 მილიონი ლარი, ბარებისა და სკვერების მოვლა-პატრონობაზე 551,0 ათასი ლარი, საგზაო ნიშნებსა და შუქნიშნებზე 323,6 ათასი ლარი, ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე 497,2 ათასი ლარი, კაპიტალური მშენებლობები კი 1,2 მილიონი ლარით დაფინანსდა.




**გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების შესწავლისას, კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფმა სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. კონკრეტულად კი ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე დასაგები საფარის რეალური მაჩვენებელი იყო გაყალბებული და ტერიტორია გაზრდილი. შესაბამისად დიდ ტერიტორიაზე თანხაც საჭიროზე მეტი იყო გამოწერილი, მოკლედ, თანხები გამიზნულად იყო გაბერილი. საეჭვო იყო ასევე, რომ შპს „კავკასუს როუდ პროჯექტიმ“ მერისთან დავა დოკუმენტური მიწერ-მოწერის დონეზე წამოიწყო, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით, რომლის შესახებაც სასამართლოში გაგრძელდა საჩივრის შესწავლა და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, 2005 წელს, როცა ახალი ხელისუფლების დროს ქალაქის მერია უფლებამოსილებით ზენიტში იყო, რატომღაც სასამართლომ კერძო კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი და მერიას 2,2 მილიონი ლარის გადახდა შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ სასარგებლოდ დააკისრა.**

კიდევ უფრო საინტერესოა კონტროლის პალატის სარევიზიო შემოწმების დოკუმენტები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს. კერძოდ, „წმინდა სამების“ საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსი) განაშენიანებასა და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობაში 2 მილიონი ლარია დახარჯული (შემსრულებელი სს „ინჟმშენი“). ამ ჩამონათვალშია რამდენიმე უცხოური კომპანიაც, რომლებმაც ქალაქის კეთილმოწყობაში სერიოზული როლი შეასრულეს. ჩვენს შეკითხვაზე, ვინ იდგა გრიფით „საიდუმლო“ შესრულებული სამუშაოების უკან, გვიპასუხეს, რომ ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული სამუშაოები, სადაც ხარჯვის ადმინისტრაციული დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტები ფინანსების გახარჯვის მხრივ წესრიგში იყო.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცნობით, 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის 1 იანვრამდე ჩატარდა 29 ღია ტენდერი, ფასთა კვოტირების მეთოდით 61 და ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით 350 ხელშეკრულება გაფორმდა. 2006 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 ოქტომბრამდე 123 ტენდერი, ფასთა კვოტირების 10 და ერთ პირთან მოლაპარაკების 379 ხელშეკრულება გაფორმდა. ამის შესახებ ინფორმაცია პრესაში არ გამოქვეყნებულა, რითაც დაირღვა 2005 წელს მოქმედი „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 26-ე მუხლის მე3 პუნქტი. ასევე 2006 წელს მოქმედი „სახელმწფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ.“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

კონტროლის პალატის მასალებში წერია, რომ ცნობისთვის გადაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და ქ. თბილისის მერიას, ხოლო წარდგინება შესასრულებლად ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს“, წერია საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებაში.

**მოკლედ, კონტროლის პალატამ 2005 წელს თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 133,9 მილიონი ლარის და 2006 წელს ქალაქის კეთილმოწყობისთვის 164,2 მილიონი ლარის გახარჯვის კანონიერების დასადგენად და შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისთვის დოკუმენტები (წარწერით „საიდუმლო“) გენერალურ პროკურატურას 2007 წელს გადაუგზავნა, გენერალურმა პროკურატურამ კი შემოწმების მასალებს თავადაც გრიფი „საიდუმლო“ რეზოლუცია დაადო და ე.წ სამალავში შეინახა. შემოწმების მასალები რამდენიმე თვის წინათ გენერალური პროკურატურის საცავიდან ამოიღეს და როგორც ჩვენი კონფიდენციალური წყარო გვარწმუნებს, ზურაბ ადეიშვილის უწყებში აღმოჩენილი ეს დოკუმენტი, შესაძლოა, ქალაქის მერის დაკავების და ახალი ბრალის წარდგენის საფუძველი გახდეს.**

ინფორმაციის გადამოწმება გენერალური პროკურატურის პრესსამსახურთან ვცადეთ, თუმცა, უშედეგოდ, მათ ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხეს.

**ისე მართლა საინტერესოა გენერალური პროკურატურა გიგი უგულავას კომპრომატებს კიდევ დიდხანს შეინახავს „სამალავში“, გასაიდუმლოებულ გარემოებაში და ლობირებას გაუწევს, როგორც ამას მისი წინამორბედი ზურაბ ადეიშვილი წლების განმავლობაში აკეთებდა, თუ სახელმწიფოს კუთვნილი ასობით მილიონი ლარის ოდენობის თანხების მითვისებისა და გაფლანგვისთვის ქალაქის მერის მიმართ სამართლებრივი დევნა დაიწყება?**

თეონა რამაზაშვილი.

## ალიანჩალიანი

### შინდისში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს

**2008 წლის 11 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სოფელ შინდისთან სენაკის საინჟინრო ბატალიონის 17 ჯარისკაცი რუსეთის მოტომსროლელ ბრიგადასთან შეტაკებისას დაიღუპა.**

**გუშინ დილიდან სოფელ შინდისში სენაკის საინჟინრო ბატალიონის მეთაურები და სამხედრო შემადგენლობა იმყოფებოდნენ. მათ პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას და დაღუპული ჯარისკაცების სახელზე აშენებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ხატი შესწირეს.**



### ახალი მედალი სამხედროებისთვის

**სამხედრო მოსამსახურე საომარი და საბრძოლო მოქმედებების დროს გაბედული მოქმედებებისთვის, ლიდერის თვისებებისა და თანამებრძოლის სიცოცხლის გადარჩენისთვის გამოჩენილი მამაცობისთვის „დიდგორის ჯვრის“ მედლით დაჯილდოვდება.**

**ახალი მედალი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბატიაშვილის ბრძანებით დამტკიცდა. „დიდგორის ჯვარის“ მედლით სამხედრო მოსამსახურეებს თავდაცვის მინისტრი დააჯილდოვებს.**



# გვიყვარდეს ქართული ოცნება საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი ქართულ ოცნებაში

ქართული ოცნება ბრჭყალებში არ ჩამისვამს.

ასე უფრო მეტს დაიტევს – ქართულ ოცნებასაც და „ქართულ ოცნებასაც“.

რა შეიძლება იყოს ქართული ოცნება? – რა თქმა უნდა, სამშობლოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მთლიანობა, კეთილდღეობა...



„მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“ – აი, ქართული ოცნება!

„ქართული ოცნების“ ქართული ოცნებაც, რასაკვირველია, ეს უნდა იყოს.

არაო, „ქართული ოცნების“ ოცნება, გინდა თუ არა, რუსულიაო, – გაიძახიან ნაც(იონალ)ები, რომელთაც სიტყვა „ნაციონალურს“ეროვნულის სინონიმობა დაუკარგეს და ოდიოზურ ცნებად აქციეს. რუსეთსაც ყველაფერი ლანგრით მიართვეს ოლიგარქ ბენდუქიძის ხელით.

მართლაც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს: ბენდუქიძის პატრონი რუსულ ოცნებას სხვასთან ეძებს...

საქართველო სიღარიბის გარეშე რომ ვერ დაგვანახეს, სხვა ლოზუნგი მოიფიქრეს: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად.“

არადა, ყველაფერი რომ დავუკარგოთ, ამას მაინც ვერ წავართმევთ: მათი სიტყვა და საქმე ნამდვილად განუყოფელი იყო – ავი სიტყვა და ავი საქმე!

„მეფე იყო და იტყოდა, იქმოდა, რასაც ინებდა“...

ალბათ, ძნელად მოიძებნება მდიდარი ქვეყნის მმართველიც კი, მასავით განცხრომით რომ ეცხოვროს.

დემოკრატიული ქვეყნის ლიდერზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ის კი იმ ბედკრული ქვეყნის პრეზიდენტი იყო, პოეტი ასე რომ მიმართავს:

**ძონძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის თარგი,**
**დაფლეთილია შენი სხეული...**

ამ „დაფლეთვაში“ მისი პირადი წვლილიც ურევია.

ეს ყოველივე ხელს არ უშლიდა, ათიათასები გადაეხადა ფავორიტი მომღერლის კაბებსა და სამკაულებში, ხოლო მილიონები – თავისთვის საახალწლო ოცნებების ასრულებაში, ბათუმში მსოფლიო დონის (თუმცა უკვე თითქმის ჩამოწერილი) მუსიკოსების ჩამოყვანაში.

მათი ქართული ოცნებაც ამას იქით არ მიდიოდა.

პრეზიდენტყოფილის ძვირფასი დედა კი დღესაც ნირშეუცვლელად აცხადებს, რომ მისი ძვირფასი შვილი საქართველოს სამსახურში ათენ-აღამებდა.

ვინ იცის, დედას რომ ცოტა მოკრძალება და სიფხიზლე გამოეჩინა, შვილი აქამდე არც დაცემულიყო.

ოღონდ იმას კი ნამდვილად ვერ დავიჯერებ, თითქოს, „ცენტრ - პოინტის“ გაკოტრებაშიც დედის წვლილი იყოს: იმათ (დედა-შვილს) საკუთარი უმძიმესი ცოდვებიც ეყოფათ, რჩეულიშვილ - კერვალიშვილთა უტიფრობანიც რომ არ მივუმატოთ...

* * *

დაივიწყეთ ის ცხრა წელიწადიო, – გვიკიჟინებენ ნაც(იონალ)ები.

როგორი დასავიწყებელია?!

რომელი ერთი დავივიწყოთ:

**სანდრო თუ ბუტა?!**

**7 ნოემბერი თუ 26 მაისი?!**

**„იბერია“ თუ „იმედი“?!**

**ბაგრატის ტაძარი თუ ძველი თბილისი?!**

ხიდის გადატანა როგორ შეიძლებაო?!

დავით აღმაშენებლისა და ილიას ძეგლების გადატანა შეიძლებოდა?!

ხიდი უფრო ძვირი ღირსო.

მათთვის რასაკვირველია!

**ხიდი 80 მილიონი დაჯდა, დავითი და ილია, თუნდაც ორივე ერთად, ცხადია, ამდენი არ ღირს(?!)...**

ჟან ანუის აზრით კი წარსული მუდამ ჩვენთან არის. ის ცხრა წელიწადიც მუდამ ჩვენთან დარჩება, მით უმეტეს, რომ თვითონ ნაც(იონალ)ები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ის შავბნელი წლები არ დაგვავიწყონ: პატიმრობამისჯილი პრეზიდენტყოფილი რომ გარე-გარე ივლის და ისევ ჭკუას გვარიგებს, გოგორიშვილი რომ სამართლიან არჩევნებს მოითხოვს, გივი თარგამაძე და ბარამიძე რომ კრიმინალზე გვესაუბრებიან, ეს იმ ცხრა წელიწადს დაგვავიწყებს, თუ უფრო მწარედ გაგვახსენებს?

არადა, დაივიწყეთო...

შესანიშნავი იყო პარლამენტის ტრიბუნიდან ნუკრი ქანთარიას ამასწინანდელი გამოსვლა, ნაც(იონალ)ებს რომ მიმართა: **„ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, თქვენი ხმა სადღაც შორიდან მოისმის. ამას შეიძლება, ეწოდოს „ხმა სამარიდამ“. არა, სიკვდილს კი არ გისურვებთ, პირიქით, თქვენ დიდხანს უნდა დარჩეთ იმის ნიმუშად, თუ როგორი ხალხი არ უნდა იყოს ხელისუფლებაში.“**

* * *

წინ კი აუცილებლად უნდა გავიხედოთ.

წინ უნდა ვიაროთ.

თანაც ისე, რომ ნაც(იონალ)ებს არ დავემსგავსოთ.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ვემსგავსებით.

არცთუ იშვიათად ვამტკიცებთ, რომ საკუთარი თავი უფრო გვიყვარს „ქართულ ოცნებაში“.

ასე რომ არ იყოს, მაგალითად, მანანა ბერიკაშვილი „ქართულ ოცნებას“ დიდ უხერხულობას არ შეუქმნიდა.

ახლად დანიშნულმა მინისტრმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ყოფილი მოადგილეებიდან ერთიც არ დაბრუნდებოდა.

ორიოდე დღის შემდეგ გადათქვა - ასე კატეგორიულადაც არ მითქვამსო(?!).

ცხადია, გადაათქმევინეს.

მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია...

სხვათა შორის, ქალბატონ მანანას, წესით და რიგით, საამისო გაჭირვება არ უნდა ჰქონდეს: მართალია, მის მეტყველებას ეს ნაკლებად ეტყობა, მაგრამ ამბობენ, რომ მეტყველების კარგი პედაგოგია. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გარდა, მასზე წამყვან ტელეკომპანიებსაც ტაციობა ჰქონდათ, მაგრამ, ეტყობა, დიდკაცობის(-თანამდებობის) სენი რომ შეგეყრება, ძნელი დასაძლევია.



ღირს კი მინისტრის მოადგილეობა იმად, რომ საკუთარი თავიც უხერხულ დღეში ჩააგდო და საკუთარი მფარველებიც?!

ასეთი უბედურება სწორედ მაშინ გემართება, როცა საკუთარი თავი გიყვარს „ქართულ ოცნებაში“, ხოლო ქართული ოცნება საერთოდ არ გაგაჩნია...

* * *

სტატიას ერთობ სარისკო სათაური შევურჩიე.

დარწმუნებული ვარ, ბევრი აქეთ შემომიბრუნებს.

არ მეშინია.

სხვათა შორის, საკმარისზე მეტი საფუძველი მაქვს, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული რომ ვიყო, მაგრამ ამის გამო ქართულ ოცნებაზე ხელი არ ამიღია.

პირადულმა წყენამ ოდნავადაც ვერ გამიხუნა „ქართული ოცნების“ საქვეყნო დამსახურება – ცხრაწლიანი ჯოჯოხეთის დასრულება.

ის, რომ უპასუხოდ დატოვეს ჩემი ორი განცხადება;

ის, რომ ვერაფრით მივაწვდინე ხმა ბიძინა ივანიშვილს, როცა ჩემი საჩხერელი კოლეგა, უწესიერესი და არავისზე ნაკლები ჟურნალისტი, სამი შვილის მამა ტუბერკულოზის მძიმე ფორმით (ის და მისი ოჯახი საშიმშილოდ ნაცებმა გაწირეს) იტანჯებოდა, სამკურნალო თანხა კი არ გააჩნდა;



ის, რომ კოკა ყანდიაშვილმა ორჯერ აღმითქვა, დავგეგმავ შეხვედრას და დაგირეკავო, მაგრამ ერთხელაც არ დაგეგმა...

**კიდევ კარგი, მისი მოხსნა დაგეგმეს და აღასრულეს.**

**როცა საზოგადოებასთან ურთიერთობას რამიშვილსა და ყანდიაშვილს მიანდობ...**

...ყველაფრის მიუხედავად, წავედი და უყოყმანოდ მივეცი ხმა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს.

კი ბატონო, ასე ვიტყვი: ბიძინა ივანიშვილის კანდიდატს.

საპარლამენტოსა და ადგილობრივზე აღარას ვიტყვი...

ჯერჯერობით, ქართული ოცნება მყარად მიყვარს საკუთარ თავში.

არა მგონია, შებრუნება მემუქრებოდეს.

იმედია, არც „ქართულ ოცნებას“ დაემუქრება...

**იოსებ ჭუმბურიძე**

## ალიანჩალიანი




## ნარმანიასთან შეხვედრის პირველი დღე

**თბილისის მერის მოადგილის ნინა ხატისკაცის განცხადებით, დავით ნარმანიასთან შემდგომი შეხვედრები უფრო ორგანიზებული იქნება. როგორც თბილისის მერის მოადგილემ ნინა ხატისკაცმა განაცხადა, მოსახლეობასთან შეხვედრა ყოველ ორშაბათს გაიმართება.**

**– მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ორშაბათობით შეხვდეს თბილისის მერს, მის მოადგილეებს, სამსახურის ხელმძღვანელებს და მათ ნებისმიერ საკითხზე ესაუბრონ. ყველა საკითხი, რომელიც მოსახლეობის მხრიდან იქნება დაყენებული, განვიხილავთ და მივიყვანთ ბოლომდე, დღეს არის პირველი დღე, მოლოდინი არის ძალიან დიდი. ბევრ ადამიანს უნდა შემოსვლა. შემდგომ კი შევეცდებით მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ მსგავსი შემთხვევები, – განაცხადა გუშინ ნინა ხატისკაცმა.**

**მისივე განცხადებით, ადამიანები, რომლებიც დღეს ვერ შეძლებენ დედაქალაქის მერთან შეხვედრას, შესაძლებლობა ექნებათ, შემდეგ ორშაბათს მოვიდნენ.**

**დედაქალაქის მერის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე კი აცხადებს, რომ დღევანდელი დღე არის პირველ რიგში იმის გამოხატულება, რომ საზოგადოებას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს დაგროვილი.**

**მერთან შეხვედრის პირველი დღე მოსახლეობის დაპირისპირებითაც აღინიშნა. ბევრი მათგანი ურიგოდ ცდილობდა შესვლას შენობაში. არ ემორჩილებოდნენ მერიის დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მითითებებს. საჭირო გახდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახებაც.**

## მერიის თანამშრომელს ფიზიკურად გაუსწორდნენ

**თბილისის მერიის თანამშრომელს ზაზა გოგოლაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. შემთხვევა კვირა ღამით, ვარკეთილში მოხდა. ნაცემია დედაქალაქის მერიის აპარატის მძღოლი. თავად დაზარალებულის განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა ექვსმა ადამიანმა მიაყენა, რომელთაგან ერთ-ერთია თბილისის მერის ყოფილი მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის მძღოლი გელა ტურიაშვილი.**

**– უბანში გაჩერებასთან ვიდექი, როცა მათ მანქანით გამოიარეს – 6 კაცი იყო. გადმოვიდნენ და დამიწყეს ჩხუბი, დამაგდეს ძირს, მცემეს, რკინის „დუბინკა“ მირტყეს. მეზობლები გამოვიდნენ და მათ გააგდებინეს ჩემი თავი, – ჰყვება თავად დაზარალებული.**

**ზაზა გოგოლაძე ამბობს, მასსა და ტურიაშვილს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ციხეებში პატიმართა წამების კადრები გავრცელდა.**

**– ციხის კადრები რომ გავრცელდა, მე დავიცავი პატიმრები, ის კიდევ ხელისუფლებას ამართლებდა და იძახდა, ღირსები არიანო. მერე სამსახურში მე დამსვეს მის მანქანაზე, თუმცა, ჩავედი და ვუთხარი, შენი მანქანა მე მომცეს-თქო და უფროსთან გაარკვიე-მეთქი, – განმარტავს ზაზა გოგოლაძე. დაზარალებული საავადმყოფოშია მოთავსებული. მას დაჟეჟილობები თხემსა და გულ-მკერდის არეში აღენიშნება.**

## დევნილებმა ფოთში რკინიგზა გადაკეტეს

**გუშინ ერთი საათის განმავლობაში გადაკეტილი იყო რკინიგზა, აქციას ის დევნილები მართავდნენ, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ ახალ რაიონში საცხოვრებელი ბინები ვერ მიიღეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ფოთიდან იუწყება, ადგილზე მობილიზებულია პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.**

**აქციის რამდენიმე მონაწილე შეუძლოდ გახდა, თუმცა, მედიკოსებმა დროულად შეძლეს ჩარევა. ადგილზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დევნილებმა რკინიგზა გახსნეს, თუმცა, როგორც ისინი აცხადებენ, დაშლას არ აპირებენ.**

**ინტერპრესი**

№158. სამშაბათი, 12 აგვისტო, 2014 წელი.

ჯერ აშენდეს, სტატუსს მერე მიანიჭებენ

# უპატრონო რეზიდენციას „ეშმაკები“ დაეპატრონებიან თუ...

**ბიძინა ივანიშვილის შემდეგ ათონელის სამთავრობო რეზიდენციაზე უარს გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ამბობენ. უცნობია, რა დანიშნულება შეიძლება შეიძინოს შვიდსართულიანმა ობიექტმა, რომლის მშენებლობა-რეკონსტრუქციის მიზნით ათეულობით მილიონი ლარი უკვე დაიხარჯა. ამ ეტაპზე ღიად მხოლოდ ის გაცხადდა, რომ აღნიშნულ შენობაში სამუშაოდ არც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გადადის და არც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.**

**„არ მაქვს სურვილი, გადავიდე ათონელის რეზიდენციაში. მიმაჩნია, რომ ჯერ ქვეყანა უნდა განვითარდეს კარგად. ფეხზე უნდა დადგეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, ჩვენი ხალხი. შემდეგ ვიზრუნოთ ახალ რეზიდენციებზე“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრეზიდენტმა კი, თავის მხრივ, განმარტა, რომ ავლაბრის რეზიდენციის შეცვლას არ აპირებს და არც ის იცის, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ათონელის ქუჩაზე მდებარე შენობას.

რეზიდენცია, რომლის მშენებლობაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნის დროს დაიწყო, თავდაპირველი გეგმის თანახმად, ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბერში, საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა დასრულებულიყო. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესულ, ორბელიანების ისტორიულ სასახლეს, რომელშიც მოგვიანებით აშშ-ის საელჩო, სულ ბოლოს კი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იყო განთავსებული, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ პრემიერის რეზიდენციის სტატუსი მიანიჭა.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა კი სააკაშვილის და მისი მთავრობის გეგმები რადიკალურად შეცვალა. ათონელზე მიმდინარე მშენებლობა შეჩერდა და შესაბამისი სამუშაოები მოგვიანებით გაგრძელდა.

პრემიერის რეზიდენციაზე უარი, თავდაპირველად, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა. 2013 წლის თებერვალში გასაიდუმლოებული ობიექტის მშენებლობის თემა გასაჯაროვდა და შენობის ტერიტორიის დათვალიერების შესაძლებლობა ჟურნალისტებსაც მიეცათ.

საზოგადოებამ სწორედ მაშინ ნახა კადრები ფეშენებელური შენობიდან, რომელიც მარმარილოთი მოპირკეთებულ კიბეებს, ძვირადღირებულ აპარტამენტებსა და მოსასვენებელ ოთახებს მოიცავს. მაშინ ითქვა კიდეც, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საგამოძიებო ორგანოებს უნდა შეესწავლათ.

მშენებლობის პროცესი ერთგვარად გაჭიანურდა და ათონელის რეზიდენციაში სამუშაოები ამ დროისთვისაც გრძელდება. როდის დასრულდება შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები და რა დანიშნულება ექნება მას? — for.ge რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაუკავშირდა. სამინისტროში განგვიმარტეს, რომ სამთავრობო რეზიდენცია განსაზღვრული გეგმისა და გრაფიკის გათვალისწინებით შენდება, მის სტატუსს კი მთავრობა განსაზღვრავს.

***„საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაცია სამთავრობო რეზიდენციებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას. ათონელის ქუჩაზე მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება დადგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა სტატუსი მიენიჭება აღნიშნულ შენობას, საქართველოს მთავრობა მიიღებს“,*** — განმარტავენ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

ათონელის რეზიდენციაზე ხელისუფლების უმაღლესი პირების უარს „პოლიტიკურ კეკლუცობასა“ და „პოპულიზმს“ უწოდებს ნაციონალური მოძრაობის წევრი დეპუტატი გიორგი თევდორაძე. მისი განცხადებით, უმჯობესია, ხელისუფლება რეალური პრობლემებით დაინტერესდეს, სოციალურ საკითხებზე იზრუნოს და ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსს საფრთხე არ შეუქმნას.

საპარლამენტო უმრავლესობაში კი აცხადებენ, რომ უკვე აშენებულ შენობას ხელისუფლება სათანადოდ გამოიყენებს.

**„შეიძლება, რომელიმე სახელმწიფო უწყება განთავსდეს ამ შენობაში, შესაძლოა, სულაც საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდეს და გაიყიდოს. არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე საელჩო მოეწყოს — ისე, რომ ფული, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ შენობას მოხმარდა, არ დაიკარგება“,** — გაუნცხადა for.ge-ს გიგლა აგულაშვილმა.

**თუ რა ბედი ეწევა, რეალურად, ათონელის ქუჩაზე მდებარე, ამ დროისთვის „უპატრონო“ 7-სართულიან შენობას, მთავრობა, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში გადაწყვეტს.**

**მადლენა მაჭარაშვილი**

ალიანჩალიანი

# მედიკამენტები არ გაძვირებულა, განაცხადა მინისტრმა



**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მედიკამენტებზე ფასების მატების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.**

**როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, მედიკამენტები ძვირია, თუმცა, ეს ბოლო თვეების დინამიკა არ არის.**

**— წამლებზე დანახარჯი, ზოგადად ჯანდაცვის დანახარჯების თითქმის 60 %-ს შეადგენს, რაც ძალიან მაღალია. მიღებულია, რომ ეს 30 %-ზე მეტი არ უნდა იყოს. ამას განაპირობებს ორი ფაქტორი, საკუთრივ მედიკამენტებზე ძვირი ფასი, რაც ასე იყო და ბოლო თვეების დინამიკა არ შეიმჩნევა და მეორე — საჭიროზე მეტი მედიკამენტების გამოწერა ექიმის მიერ. ორივე ამ მიმართულებით მიდის მუშაობა. ფასების ჩამოწევას უზრუნველყოფს ორი ფაქტორი — ხარისხის კონტროლი, რაზეც მუშაობას ვასრულებთ და ამის საფუძველზე კონკურენციის შექმნა. ეს ინერციული პროცესია, დრო დასჭირდა, მაგრამ ვფიქრობ, წარმატებით განხორციელდება. რაც შეეხება მედიკამენტებზე ფასების გაზრდის შესახებ ინფორმაციას, ფასები არ არის მომატებული, პირიქით ჰეპატიტის წამლებზე 60 %-ით დაკლებულია, — განაცხადა დავით სერგეენკომ.**

**ინტერპრესი**

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!



# გზაში გამოკიდებული პარლამენტი

**პარლამენტის აპარატი თბილისში გადასვლისთვის ემზადება. ქუთაისში მდებარე გამჭირვალე შენობიდან ინვენტარის გატანა უკვე დაწყებულია. შენობიდან გორგოლაჭიანი სკამები გაიტანეს, დერეფნებში კი ამ დრომდე რჩება ყუთებში ჩალაგებული აპარატურა და დოკუმენტები.**

**რა დაუჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს ქუთაისსა და თბილისში ორი შენობის შენახვა? — ამის გარკვევის მიზნით, for.ge პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელს ზურაბ მარაძველიძეს ესაუბრა:**

**— თბილისში მდებარე პარლამენტის ისტორიული შენობისთვის ავეჯს ქუთაისიდან წაიღებთ?**

— 1 სექტემბრიდან პარლამენტი ორ შენობაში იმუშავებს და ამოცანა ის არის, რომ ორივე შენობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც ავეჯით, ასევე ტექნიკური ინვენტარით. თუ დღეს, ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში დაახლოებით ათასი ადამიანი მოძრაობს, სექტემბრიდან ეს რაოდენობა დაახლოებით ერთი მესამედით შემცირდება. შესაბამისად, ათასი კაცისთვის განკუთვნილი ინვენტარი სამას ადამიანს არ დასჭირდება. საკანონმდებლო ორგანოს კუთვნილი ინვენტარი ორ შენობაზე ისე გადანაწილდება, რომ ორივეს ეყოფა.

**— თუმცა, ითქვა, რომ რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის რემონტი და ავეჯის შეძენა 23 მლნ ლარი დაჯდა...**

—შენობის რემონტი ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და ავეჯიც სრულად იქნა შეძენილი, რისთვისაც საერთო ჯამში, 23 მლნ ლარი დაიხარჯა.

**— თვის განმავლობაში ქუთაისში მდებარე გამჭვირვალე შენობის შენახვა რა ჯდება?**

— თვეში მარტო კომუნალური გადასახადები 80 ათასი ლარი ჯდება.

**— ქუთაისსა და თბილისში ორი შენობის შენახვა, ხარჯებს არ გაზრდის?**

— შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ქუთაისში მდებარე შენობის ხარჯებს ორი წელია, რაც ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული მომსახურების სააგენტოს იხდის.

**— მაინტერესებს, ორი შენობის არსებობით გაორმაგდება თუ არა ხარჯები?**

— ხარჯები ვერანაირად ვერ გაიზრდება. ამ ხარჯებს სახელმწიფო ფარავს. მათ მარტო პარლამენტი გადაიხდის, თუ ეკონომიკის სამინისტრო, ჯამში, ხარჯი არ იცვლება. ზიარი ჭურჭლის პრინციპი არსებობს. თუ აქ, მაგალითად, 700 ადამიანია და ამ დროს თბილისში არავინ არის, თბილისში ხარჯები მინიმალურია, აქ კი მაქსიმალური. თუ 700 ადამიანი თბილისში იქნება, ქუთაისში ხარჯი მინიმალური იქნება. ანუ, ხარჯები ვერანაირად ვერ გაორმაგდება.

**— ბატონო ზურაბ, უმრავლესობის ლიდერები იმაზე აპელირებენ, რომ თბილისში პარლამენტის დაბრუნებით ხარჯები შემცირდება. შეგიძლიათ გვითხრათ, რა მცირდება?**

— ელემენტარულად, საწვავის და ავტოპარკის ხარჯები შემცირდება. აქეთ-იქეთ სიარულმა ავტოპარკი გაცვითა.

**— საპარლამენტო უმცირესობა დანამატის ბედით ინტერესდება. მიხეილ მაჭავარიანმა for.ge-სთან საუბარში აღნიშნა, რომ აპარატის თანამშრომლებსა და დეპუტატებს ქუთაისში ბინებით უზრუნველყოფისთვის დანამატი გამოეყოფათ, რაც წლის განმავლობაში დაახლოებით 4,5 მლნ ლარია. რას აპირებთ, დანამატს აუქმებთ?**

— ეს საკითხი დამუშავების პროცესშია და გადაწყვეტილება იქნება მიღებული. თავის დროზე, როდესაც ითქვა, რომ პარლამენტი ქუთაისში გადმოდიოდა, აპარატის თანამშრომლები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ქუთაისში ყოფნისთვის არც ხელფასი გაეზრდებოდათ და არც დანამატს მიიღებდნენ. პირველ რიგში, ამ ადამიანებისთვის რაც გავაკეთეთ, ბინის ქირა გამოვყავით. რაც შეეხება იმას, ახალ რეჟიმში თუ რა იქნება, საკითხი მისახედია და ამაზე ვიმსჯელებთ.

**— ქუთაისში დეპუტატებს ქირით ბინები ისევ შეუნარჩუნდებათ?**

— ესეც დამუშავების პროცესშია. საცხოვრებელი ადგილი დეპუტატებსაც სჭირდებათ.

**— 340 მლნ ლარიან გამჭვირვალე შენობას, რას უპირებთ?**

— სანამ კონსტიტუციაში იქნება ის ჩანაწერი, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისია, მანამდე საკანონმდებლო ორგანო აქ იფუნქციონირებს. თუ კონსტიტუციაში ცვლილება შევა, გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს შენობა თუ რა დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული. თუ პარლამენტი თბილისში სრულად გადავა, ეს შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავა, რომელიც თავად გადაწყვეტს, თუ რა დანიშნულებით გამოიყენოს შენობა.

**— და ბოლოს... ქუთაისში მდებარე შენობაში ზაფხულობით ძალიან ცხელა, ზამთარში ძალიან ცივა. გიორგი თევდორაძეს განმარტებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ შესაბამის ტექნიკურ საშუალებებს დატვირთვით არ ამუშავებთ და ფულს ზოგავთ. მართალია?**

— ეს განცხადება ძალიან შორსაა სიმართლისგან. ვინც ამას აცხადებს, შესანიშნავად იცის, რომ დიდ სიცრუეს ამბობს. რის ეკონომიაზე შეიძლება იყოს საუბარი მაშინ, როცა კონდიცირების სისტემა დამონტაჟებული არ არის?!

**ესაუბრა**
**თეონა მანაგაძე**

# აპოკალიფსის მხედარი, სახელად „ებოლას ვირუსი“




**დასავლეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში ამჟამად მძვინვარე ებოლას ჰემორაგიული ციებ-ცხელება, რომელმაც უკვე ათასამდე კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა და მთელ მსოფლიოში ინფექციური განგაშის მიზეზი გახდა, უაღრესად საშიში დაავადებაა. საქმე იქამდეა მისული, რომ გასული კვირის მიწურულს, ჟენევაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ორგანომ საგანგებო სხდომაზე ებოლას ციებ-ცხელებას „კაცობრიობის არსებობისთვის საშიში მოვლენის“ სტატუსი მიანიჭა.**

ებოლას ციებ-ცხელებისგან თავის დასაცავად კაცობრიობას არც ვაქცინა აქვს, არც რაიმე საგანგებო სამკურნალო პრეპარატი. ამჟამად მედიკოსები ინფექციის დასავლეთ აფრიკის რამდენიმე ულარიბესი ქვეყნის ფარგლებში (გვინეა, სიერა-ლეონე, ლიბერია, გამბია) ცდილობენ, მაგრამ იგი უკვე მოხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ამიტომ მსოფლიოს რამდენიმე დიდ აეროპორტში შემოღებულია საგანგებო საკარანტინო ზომები.

ამჟამად არსებული მონაცემებით, ებოლას ციებ-ცხელების ვირუსის ძირითადი ბუნებრივი კერები, როგორც აღვნიშნეთ, აფრიკაშია, მისი ერთ-ერთი, ეგრეთ წოდებული რესტონის ქვესახეობა კი ფილიპინებსა და ჩინეთშია აღმოჩენილი, სადაც მისგან ღორები და მაიმუნები დაიხოცნენ, თუმცა, ადამიანთა დაავადების შემთხვევები იქ დადგენილი არ არის. ადამიანები ებოლას ვირუსით ინფიცირებულ ცხოველებთან კონტაქტების შედეგად შეიძლება დაავადდნენ, შემდგომ კი ვირუსი კაციდან კაცს გადაეცემა.

**ებოლას ჰემორაგიული ციებ-ცხელების გადამდებლობის მაჩვენებელი 95 პროცენტს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული დაავადებული მასთან კონტაქტში მყოფ ასიდან 95 ადამიანს ასნეულებს, რომლებსაც სპეციალური დაცვა და იმუნიტეტი არა აქვთ. ებოლას ციებ-ცხელების მიზეზით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 90 პროცენტია.**

ჰემორაგიულ ციებ-ცხელებებს ვირუსული ბუნების რამდენიმე მსგავსი გამოვლინების მქონე დაავადებას უწოდებენ, რომელთა დროს ზიანდება სისხლძარღვები, ირღვევა სისხლის შედედების უნარი და წარმოიშობა მრავლობითი სისხლდენები. ვირუსი სისხლით ან გამონაყოფებით გადაიცემა, მისი გადამდებლობის დიდი უნარის გამო საფრთხეში არის მედიცინის ყველა მუშაკი, ვინც ავადმყოფებთან მუშაობს.

თავისი სახელწოდება რნკ-ვირუსს ზაირში მდინარე ებოლამ მისცა, სადაც იგი პირველად !976 წელს გამოყვეს. ეგრეთ წოდებული ფილოვირუსები უმაღლეს პრიმატებს ეყრებათ, ბუნებაში კი მათი მატარებლები მღრღნელები არიან, რომლებისგანაც შიმპანზეები და გორილები ავადდებიან. სხვა მონაცემებით, ვირუსის, ასე ვთქვათ, „ბუნებრივი პატრონები“ შესაძლოა ღამურები, ასევე ტყის შველები და მაჩვზღარბები იყვნენ. არჩევენ ვირუსის ხუთ ქვესახეობას, რომლებიც ერთმანეთისგან სიკვდილიანობის მაჩვენებლებით განსხვავდება.

ავადმყოფობის გამომწვევი ებოლას ვირუსი ორგანიზმში ასევე სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსიდან და კანის მიკროტრავმიდან ხვდება. საინკუბაციო პერიოდი ორიდან 21 დღემდეა, რის შემდეგ მწვავე ინტოქსიკაცია ვითარდება — ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, აღენიშნება მაღალი სიცხე, საერთო სისუსტე, კუნთების, გულ-მკერდის და მუცლის ღრუს ძლიერი ტკივილები, ფაღარათი, მშრალი ხველება, ორგანიზმი უწყლოვდება. ქვეითდება სისხლის შედეგების უნარი. ამას მთელი ორგანიზმის სისხლდენა ერთვის, რის შედეგად ერთი კვირის შემდეგ კაცი კვდება.

როგორც აღვნიშნეთ, ებოლას ციებ-ცხელების ვაქცინა არ არსებობს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ იმის გამო, რომ მისი გამოყენების ბაზარი ძალიან მცირეა და შესამუშავებლად გასაწევ ხარჯს ვერ აანაზღაურებს, მის შექმნაზე არც ერთ დიდ ფარმაცევტულ კომპანიას არ უზრუნია. თუმცა კი ამ ვაქცინის შემუშავებას თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო და ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტი აფინანსებდნენ, რომლებიც შიშობდნენ, რომ ებოლას ვირუსის ბაქტერიოლოგიურ იარაღად გამოყენება შეიძლება. ვაქცინის რამდენიმე პროტოტიპმა ცხოველებზე კლინიკამდელი გამოცდებიც კი გაიარა, მაგრამ 2012 წელს სამინისტრომ დაფინანსება შეწყვიტა.

ებოლას ვირუსის ვაქცინას რუსეთშიც ამუშავებენ ნოვოსიბირსკის ვირუსოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრ „ვექტორში“. არსებული ინფორმაციით, სამუშაოები ამჟამად ცხოველებზე კლინიკამდელი გამოცდების სტადიაზეა და ახლა ისინი სასწრაფოდ დაჩქარდა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერები დაავადებული ღამურების სისხლიდან ვაქცინის შექმნაზე მუშაობენ და წარმატების მიღწევის შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატების ჯანდაცვის ორგანოები მისი ბაზარზე დაშვებას დაჩქარებული წესით განიხილავენ. ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა ენტონი ფაუჩიმ განაცხადა, რომ ვაქცინის მიღებას მედიკოსები 2015 წლის შუა პერიოდში იმედოვნებენ, მისი კლინიკური გამოცდები კი სექტემბერში დაიწყება.

მაგრამ, უბედურება ისაა, რომ დღესდღეობით ებოლას ციებ-ცხელებით დაავადებულთა სამკურნალოდ ექიმებს არავითარი საშუალება არა აქვთ. წლევანდელი აგვისტოს პირველი დეკადის მონაცემებით, გვინეაში, გამბიაში, სიერა-ლეონესა და ლიბერიაში ებოლას ციებ-ცხელების ვირუსი 1,5 ათას კაცს შეეყარა, 890 კაცი გარდაიცვალა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის მარგარეტ ჩენის თქმით, ესაა ებოლას ციებ-ცხელების უდიდესი ეპიდემია, რომელიც ამ დაავადების აღმოჩენის შემდეგ მძვინვარებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე არის ებოლას ვირუსით დაავადების ორი დადასტურებული შემთხვევა — ორივე ექიმია, რომელიც აფრიკაში ამ სნეულებას ებრძოდა, მაგრამ თავადვე დაავადდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასალეთ აფრიკიდან ებოლას ციებ-ცხელების ვირუსის გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად, მსოფლიოს რამდენიმე უდიდეს აეროპორტში უკვე მიიღეს საგანგებო საკარანტინო ზომები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, რამდენად ფხიზლად არიან ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მესვეურნი, შესაბამისი უწყებები ამ უდიდესი საფრთხისგან მოსახლეობის დასაცავად და რა პრევენციული ზომების გატარებაა გათვალისწინებული — ეს ის კითხვაა, რომლითაც **ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს ამირან გამყრელიძეს მივმართეთ.**

— ებოლას ციებ-ცხელების გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, ამ სნეულების გავრცელების რისკისდა მიხედვით, ქვეყნები პირობითად სამ ჯგუფად დაჰყო, — თქვა ბატონმა ამირან გამყრელიძემ. **— პირველ, ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში ის ოთხი ქვეყანა მოექცა, სადაც ეს დაავადება უკვე 1,5 ათასზე მეტ კაცს შეეყარა, კერძოდ, ესენია გვინეა, სიერა-ლეონე, ლიბერია და გამბია. რისკის მეორე ჯგუფში მოხვდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ავადმყოფობის კერა ქვეყნებს ხმელეთით ესაზღვრება, მესამე ჯგუფში კი მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებია, მათ შორის, ცხადია, საქართველოც.**

რეალური საფრთხის პერსპექტივის სიშორის მიუხედავად, რომ იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამიტომაც ცენტრმა შესაბამისი წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. მასში, კერძოდ, თხოვნაა, რომ, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას მკაცრად იყოს აღნუსხული ყველა ის პირი, ვინც მაღალი რისკის ქვეყნებიდან ჩვენთან ჩამოდის. ასევე ყურადღება მიექცეს მწვავე ინფექციური დაავადებებისთის (მათ შორის, ცხადია, ებოლას ციებ-ცხელებისთვის) დამახასიათებელ სიმპტომატიკას.

ბატონ ამირან გამყრელიძის თქმით, სათანადო წერილი გაეგზავნა ასევე თბილისის ინფექციურ საავადმყოფოს, სადაც თუ ფორსმაჟორის ვითარება შეიქმნა, პაციენტების სათანადო პირობებში მოსათავსებლად სრული მზადყოფნაა.

— ებოლას ციებ-ცხელების, ზოგიერთი სხვა მწვავე ინფექციური ავადმყოფობის მსოფლიოში გავრცელების დინამიკას დიდი ხანია ვაკვირდებით და სათანდო პროფილაქტიკურ სამუშაოსაც ვატარებთ, — აღნიშნა ასევე ბატონმა გამყრელიძემ. — შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული დაახლოებით ათასი ინფექციონისტი და ოჯახის ექიმი გადამზადდა განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებთან, მათ შორის, ებოლას ციებ-ცხელებასთან ბრძოლის მხრივ. სათანადო მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს, მსოფლიოში ინფექციურ დაავადებათა მონიტორინგი ყოველდღიურად მიმდინარეობს. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის გაცნობა კი ცენტრის ვებ-გვერდზეა შესაძლებელი.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ალიანჩალიანი**

## სააპელაციო სასამართლომ ვანო მერაბიშვილის განაჩენი ძალაში დატოვა



**თბილისის სააპელაციო სასამართლომ 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილისთვის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.**

**გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გუშინ გამოცხადდა.**

**2011 წლის 26 მაისს თბილისში, რუსთაველზე მიმდინარე მიტინგის დაშლის საქმეზე შს მაშინდელ მინისტრს ვანო მერაბიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით ჰქონდა წაყენებული, რაც უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. თბილისის საქალაქო სასამართლომ 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილს თავისუფლების 4 წლითა და 6 თვით აღკვეთა მიუსაჯა.**

**თავად ვანო მერაბიშვილი სააპელაციოს განაჩენის გამოცხადებას არ ესწრებოდა.**

## რუს დიპლომატებს შეზღუდვები დაუწესდათ

**ნატოს შტაბ-ბინაში რუსი დიპლომატების შესვლაზე შეზღუდვები დაწესდა. ამის შესახებ ბელგიაში უკრაინის ელჩმა იგორ დოლგოვმა „რადიო თავისუფლების“ უკრაინული ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა .**

**— ეს ყველასთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ნატოს შტაბ-ბინაში დღესდღეობით მხოლოდ რუსეთის ელჩსა და მის მოადგილეს უშვებენ, — განაცხადა მან.**

**მისივე თქმით, ალიანსმა რუსეთთან თანამშრომლობის ყველა არხი შეაჩერა, გარდა დიპლომატიურისა.**

## თიანეთელებს იუსტიციის სახლის ფილიალი ექნებათ




**შენობის პროექტი თიანეთის მოსახლეობას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თიანეთობის დღესასწაულზე პირადად წარუდგინა.**

**როგორც თეა წულუკიანმა თიანეთის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ სახელმწიფო სერვისებით ერთ სივრცეში, კომფორტულ გარემოში სარგებლობა თიანეთის მოსახლეობისთვის უმოკლეს დროში გახდეს ხელმისაწვდომი.**

**იუსტიციის სახლის პროექტის პრეზენტაციის შემდეგ იუსტიციის მინისტრი თიანეთობის დღესასწაულის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა გასართობ და სპორტულ ღონისძიებებსაც დაესწრო.**

## „ალდაგმა“ „რუსმეტალს“ ზარალი აუნაზღაურა

**სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ საქართველოს სადაზღვევო ისტორიაში ერთ—ერთი ყველაზე მსხვილი ზარალი აანაზღაურა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ალდაგის პრესსამსახურიდან აცნობეს.**

**„ალდაგის“ ცნობით, ფეროშენადნობთა საწარმო შპს „რუსმეტალს“ სადაზღვევო კომპანია „ალდაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დაზღვეული ჰქონდა კუთვნილი ქონება მანქანა-დანადგარების სახით და ასევე ბიზნესის შეჩერების რისკები. შპს „რუსმეტალის“ ენერგომომარაგების სისტემაში მომხდარი ავარიის შედეგად, მნიშვნელოვნად დაზიანდა კომპანიის კუთვნილი ქონება კერძოდ კი მანქანა—დანადგარები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია კომპანიის საქმიანობის შეჩერება. შპს „რუსმეტალის“ ზარალმა 862 490. 47 ლარი შეადგინა, რაც „ალდაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით კომპანიას სრულად აუნაზღაურდა.**

**— შპს „რუსმეტალთან“ „ალდაგს“ მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს. „ალდაგი„ მომხმარებლებს ბიზნესის შეჩერების რისკების დაზღვევას დიდი ხანია, სთავაზობს და საქართველოში ამ მიმართუოლებით,საკმაოდ ბევრი კომპანია ჰყავს დაზღვეული, — აღნიშნა სადაზღვევო კომპანია ალდაგის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა.**

**ინტერპრესი**

◉ კანონი ყველგან კანონია

# ინვესტიციები – ინდულგენციები როდია...



**— ფული ბიზნესისათვის მე დედამ მომცა, — ასე ლაპარაკობდა თავის ინტერვიუში რამდენიმე ხნის წინათ ბიზნესმენი შვეიცარიიდან ილიას ხრაპუნოვი, დღეს კი მასზე გამოცხადებულია ძებნა ინტერპოლით, — იტყობინება ყაზახეთის პრესა.**

**აი, როგორი ელვისებური კარიერაა — პატარა შვილისაგან და მაჟორი ბიჭუნასაგან სულ რაღაც რამდენიმე წელში გაიზარდა დიდად წარმატებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელი — ამისთვის, ხომ იცით განსაკუთრებული ნიჭია საჭირო.**

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ილიასს გაუმართლა მასწავლებლებთან დაკავშირებით. მას ფული, რომელიც დედამ მისცა — ისიც წარმატებულ ბიზნეს-ვუმენს უწოდებს თავს — მოპარული იყო ქ. ალმა-ატის ბიუჯეტიდან მამის დახმარებით, რომელიც ყაზახეთის იმ ქალაქში იყო ყველაზე უფროსი, წერს ყაზახეთის პრესა.

დიდი წვლილი ილიასის პიროვნების ჩამოყალიბებაში შეიტანა დევნილმა ოლიგარქმა მუხტარ აბლიაზოვმა, რომლის ქალიშვილიც ცოლად შეირთო ამ ოდესღაც წყნარმა და მორიდებულმა ბიჭმა. მუხტარი მისთვის ფინანსური გურუ გახდა, ეხმარებოდა საჭირო მომენტში რჩევებითა და ფულით. ორიენტირებულმა, როგორც თევზმა მღვრიე წყალში, სიმამრმა აჩვენა სიძეს უმაღლესი პილოტაჟი, როდესაც გამოიყენა აქტივები მრავალმილიარდ ტენგზე ყაზახეთის „ბი-თი-ეი ბანკიდან“, რის შემდეგაც მოახდინა წარმატებული რეტირება ლონდონში.

ილიასის მშობლები — მამა — ჩინოვნიკი და დედა — ბიზნესმენი ვიქტორ და ლეილა ხრაპუნოვები თავის დროზე გადასახლდნენ შვეიცარიაში. მოტივი ერთი იყო — შესანიშნავი წინათგრძნობის სიმამრმაც და ილიასის მშობლებმაც დატოვეს ყაზახეთი სისხლის სამართლის აღძვრამდე რამდენიმე ხნით ადრე.

საინტერესოა, რომ ეს მოხდა თითქმის ერთდროულად 2008 და 2009 წლებში და დაცვის ხაზი მოსალოდნელი სისხლისსამართლის დევნიდან შეარჩიეს საერთო. ამიტომ, როდესაც ყაზახეთმა დაუსწრებლად მიუსაჯა ამ ადამიანებს ხანგრძლივი პატიმრობა, შემდეგ კი მათზე გამოაცხადა ძიება ინტერპოლით — სამართალდაცვის სისტემა უძლური აღმოჩნდა. საქმეში პოლიტიკა ჩაერთო.

ყველაფერი აბლიაზოვიდან დაიწყო, რომელმაც პოლიტიკური დევნილის სტატუსი დიდ ბრიტანეთში მიიღო. მას ჰქონდა განვითარებული წარმოდგენა და მდიდარი ფანტაზია, დააპროექტა ვირტუალური რეალობა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ამჟამინდელ ყაზახეთთან. ამ რეალობაში მან თავის თავს გამოუყო დევნილობაში ეროვნული ლიდერის როლი, რომელსაც სდევნის ხელისუფლება, აყალბებს სისხლის სამართლის საქმეებს, რათა თავი დააღწიოს კონკურენტს.

აბლიაზოვს ესმოდა, რომ ცრუ სიტყვა პისტოლეტზე უფრო უარესია, გააჩაღა აქტიური საინფორმაციო ომი. და რაც ყველაზე საინტერესოა, თავდაპირველად მისი სჯეროდათ.

ინგლისელები, რასაკვირველია, გამოფხიზლდნენ. თუმცა, გვიან. ფერადი სათვალეების მოხსნაში დაეხმარა პროცესი „ბი-თი-ეი ბანკის“ სარჩელთან დაკავშირებით, რომელმაც დაადასტურა აბლიაზოვის ბრალდება რამდენიმე მილიარდი დოლარის ქურდობაში. ეს საქმე, რომელიც დიდად გაჭიანურდა და გართულდა, მაინც წააგო ოლიგარქმა. აი მაშინ დაფიქრდნენ ინგლისელები, მაშ ჩვენ ვილას ვმფარველობთ?! და რაც მნიშვნელოვანია, სამოქალაქო პროცესის ფარგლებშიც კი აბლიაზოვს პერმანენტული სიცრუისა და თემიდის წინააღმდეგ მცდელობისათვის მიუსაჯეს 22 თვის პატიმრობა.

ამის შემდეგ, ინგლისელები უკვე ცუდები გახდნენ, აბლიაზოვმა კი კვლავ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ის გადავიდა იატაკქვეშა არსებობაზე, ბრალი დასდო ლონდონის უმაღლეს სასამართლოს პოლიტიკური ანგაჟირებისათვის ასტანასთან, ამხელდა მათ შეთქმულებასა და კორუფციაში. ერთი სიტყვით, თავი ეკავა, როგორც ყოველთვის. მჭევრმეტყველობის ამ შადრევანმა ვერ მოასწრო ჩაქრობა, როდესაც დამნაშავე დააკავეს თავის ცალკე ბინაში ლაჟვარდოვან სანაპიროზე და ჩასვეს ციხეში საფრანგეთში. იგი იქიდანაც კვლავ აცნობებდა მთელ მსოფლიოს შელახულ უფლებებსა და თვითნებობაზე. დღეს საკითხი წყდება ეკონომიკურ დანაშაულებაზე. სხვათა შორის, ინლისელებმა მას მაინც ჩამოართვეს პოლიტიკური დევნილის სტატუსი.

ხრაპუნოვების ოჯახი თავდაპირველად წყნარად იქცეოდა. შეიშნებოდა ვიქტორ ხრაპუნოვის ხალხის თავმდაბალი მომსახურის ხასიათი, რომელიც ასე მიიჩნევდა: მოიპარე, წადი და, მადლობა ღმერთს, რაღა საჭიროა ხმაური! მაგრამ აბლიაზოვის საინფორმაციო ომი, როგორც არასაკმარისი სათბობი, მოითხოვდა შეშას. და ვიქტორ ხრაპუნოვი გახდა ის მორი, რომელიც დღესაც, აბლიაზოვის დაპატიმრების შემდეგ, ჯერ ისევ ღვივის და პოლიტიკური ატმოსფერო ოზონირებას არ ახდენს. ლეილასაც შეაქვს თავისი წვლილი კვამლის ფარდის შექმნაში, ეხმარება, თვალი აარიდონ ევროპულ საზოგადოებრიობას. ამ დროს ხრაპუნოვების თავზე ღრუბელი იქუფრება.

რამდენიმე ხნის წინათ, ჟენევის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება ხრაპუნოვის ოჯახის მიმართ ეჭვთან დაკავშირებით ფულის გათეთრების საქმეში. ყველა მათი ანგარიში Credit Suisse i Schroder @ CO Bank AG-ში გაყინეს, მთელი დოკუმენტაცია კი ამოიღეს.

ეტყობა, თავიანთი მომავლის შიშით, ხრაპუნოვებ-აბლიაზოვების კლანმა გადაწყვიტა გადასახლებულიყო ოკეანის იქით. მაგრამ ყაზახეთის ხელისუფლებამ ამერიკის კალიფორნიის შტატის სასამართლოში უმალვე შეიტანა საქმე ქალაქის ყოფილ ხელმძღვანელზე, ბრალი დასდო მას ამერიკის შეერთებული შტატების 300 მილიონი დოლარის მიტაცებაში.

საქმის მასალების თანახმად, ხრაპუნოვების შვილებმა მეუღლეებთან ერთად გამოიყენეს მოპარული სახსრები უძრავი ქონების შესაძენად ლოს-ანჯელესის რაიონებში, მათ შორის, 6,2 მილიონი დოლარი დევერლი-ჰილზში სახლისა და 5,7 მილიონი დოლარი ორი აკრი მიწის შესყიდვისათვის სტუდიო-სიტიში. ამას გარდა, მათ ლიზინგში შეიძინეს უძვირფასესი ავტომობილები.

აქ რას იტყვი, კარგი მასწავლებლები ჰყავდა ილიას ხრაპუნოვს და არ არის გასაკვირი, რომ მან გააგრძელა ოჯახური ტრადიცია, გახსნა თავისი პირადი ფურცელი ინტერნეტის საიტზე განყოფილებაში „იძებნება“.

როგორც იტყობინებიან, 30 წლის ილიასი ეჭვმიტანილია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნასა და ხელმძღვანელობაში, დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობაში, აგრეთვე ფულადი სახსრების ლეგალიზაციასა და იმ ქონების რეალიზაციაში, რაც უკანონო გზითაა შეძენილი.

**„ინტერპოლი სთხოვს ყველას, ვისაც აქვს ინფორმაცია ილიას ხრაპუნოვის ადგილმდებარეობის შესახებ, მიმართოს უწყებაში“,** — ნათქვამია საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის საიტზე.

სხვათა შორის, ინტერპოლი ეძებდა მის მშობლებსაც, რაც არ უშლიდა მათ ხელს ეწარმოებინათ ცხოვრების აქტიური წესი ცნობილი ფართო საზოგადოებრივი მისამართით შვეიცარიის ერთ-ერთ კანტონში. მაგრამ ეს უკვე საკითხია ევროპული სამართალდამცველის მისამართით. რამდენადაც ამ ადამიანების მისამართით გაისმის ასეთი სერიოზული პრეტენზიები, მათზე ხელის ჩაქნევა და მიუტევებელი მიშვება არ შეიძლება. საჭიროა რაღაცის გაკეთება, ან ძებნილთა ექსტრადირება, ან საკუთარი გამოძიების მოწყობა. საჭიროა, მიეცეს ზუსტი პასუხი ევროპულ საზოგადოებრიობას: **ძველი სამყარო არ შეიძლება იყოს ადგილი ოლიგარქებისათვის, სადაც მილიონობით ინვესტიციებისათვის მათ უწერენ ინდულგენციებს, პატიობენ ყველა ძველ ცოდვას.**

**კოტე გლიაძე**

◉ წიგნი

# გასეირნება ფეთხაინში...

**„გასეირნება ფეთხაინში. 26 საუკუნე საქართველოში. დრო და ბედისწერა“ — გაბრიელ ნამთალაშვილის ამ სახელწოდების ისტორიულ-დოკუმენტური წიგნი გამოიცა თბილისში (გამომცემლობა „პეტიტი“, 2014 წ.). რედაქტორი — პროფესორი გივი ღამბაშიძე.**

ნაკლებად ცნობილი ისტორიული ფაქტები, დრო და ბედისწერა, ნაცნობი სახები და ადამიანური ისტორიები, ტრაგიკული მოვლენები და ჩვეულებრივი ოჯახური სიხარულები — ეს ყოველივე დაკავშირებულია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ებრაულ სათემოსთან — ქართველ ებრაელობასთან.

ეს წიგნი მასზეა.

სათემოს წარსული და დღევანდელი დღე აღნიშნულია ორგანული ჩართულობით საერთო ქართულ სივრცეში.

ამიტომ ეს წიგნი საქართველოზეცაა.

გაბრიელ ნამთალაშვილი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მიმომხილველი — არის პუბლიკაციების ავტორი ეკონომიკის, ფინანსების, ენერგეტიკისა და ბიზნესის თემებზე, რომელთაგანაც ზოგიერთი სხვადასხვა დროს აღინიშნა საერთაშორისო და რესპუბლიკური ორგანიზაციების პრემიებით. 2000 წლიდან არის გაზეთ „26 საუკუნის“ რედაქტორი. ამ გამოცემის ელექტრონული და ბეჭდვითი ვერსია გამოდის ყოველთვიურად.

ძველ სახელწოდებებს აქვთ თავიანთი მაგნიტიზმი და იშვიათი ენერგეტიკა. ფეთხაინი — ასე ეწოდება ძველი თბილისის რაიონს, სადაც ოდითგანვე დასახლდნენ და ცხოვრობდნენ სხვა ეროვნებებთან ერთად ქართველი ებრაელები. ამ სახელწოდებიდან მოდის განსაკუთრებული ყაიდა, ტრადიციულობა, აღმოსავლური ნაირფეროვნება, ბიბლიური სიდინჯე და წინდახედულობა, მოდის მარადისობა. ავტორი ფეთხაიმს განიხილავს როგორც „ჩვენი გულისათვის ძვირფასი თბილისის, მთელი საქართველოს ნაწილს“. ის ახლოა ჩვენთან, უწინარეს ყოვლისა, როგორც სულიერი და ფიზიკური სიმბოლო, რომელიც განიხილება საქართველოს დედაქალაქის მხოლოდ ისტორიისა და თანამედროვეობის კონტექსტში, ყოველგვარი საეჭვო გადაკვრით ნათქვამების გარეშე მის განსაკუთრებულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს გაბრიელ ნამთალაშვილი.

წიგნში „გასეირნება ფეთხაინში“ უცნობი ან მივიწყებული დამოწმებები საშუალებას გვაძლევენ, შევქმნათ არა ისტორიული გამოკვლევები, არამედ წმინდა ჟურნალისტური „კონსტრუქციები“, რომლებშიც წარსულის არტეფაქტების არსებობა ორგანულად ავსებენ პიროვნულ შეფასებებს და მოგონებებს. „გასეირნება...“ საშუალებას აძლევს ავტორს, გადახედოს თავის მეხსიერებაში წარსულის მოვლენებს, თვალყური გაადევნოს მივიწყებული ბედისწერებისა და წიგნების ფურცლებს, ჩაწვდეს პირველი ქართველი საგაზეთო რეპორტიორების მოკლე, მაგრამ მრავლისმომცველ შენიშვნებს განჭვრიტოს გასული დროის ნახევრად წაშლილი ხაზები.

ცალკეული სათაურების სახელწოდებანიც კი მოწმობენ იმის შესახებ, თუ რამდენად საინტერესოა ისტორიისა და თანამედროვეობის შერწყმა ამ წიგნში, — ტფილისის შვილი; ებრაული ქალაქი ბებრისციხის კალთებზე? ისინი მცხეთიდან წამოვიდნენ; „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიური პროტოტიპები; როგორი ოლიფითაა შეღებილი ძველი თბილისი? წყალდიდობა აბანოთუბანში; კულაშელი შეყვარებულები; ხათუნას საბედისწერო გასროლა; ასე მოდიოდა




ალია; „ჩაშკა“ ახსოვთ დღესაც და სხვ.

მაგალითად, თავი „მოსამსახურე ვალას შვილი“ გვიამბობს ქართველი ებრაელების გვარების წარმოშობის შესაძლო ვერსიებზე. ცნობილია, რომ ესპანეთის მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც XV საუკუნის ბოლოს ესპანეთიდან გამოდევნილი ებრაელების მემკვიდრეებს აძლევთ საშუალებას, შეიტანონ თხოვნა ესპანეთის მოქალაქეობის მიღების შესახებ, დარჩნენ იმ ქვეყნების მოქალაქეებად, რომლებშიც ცხოვრობენ. ამავე დროს, ესპანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ებრაული გვარების სია, რომლებიც ნახსენები იყო იმ ესპანელი ებრაელების დოკუმენტებში, რომლებიც ქვეყნიდან გამოდევნეს ექვსასი წლის წინათ. იმათ, ვინც ამ სიის გვარს ატარებს, შეუძლიათ, პოტენციურად ჰქონდეთ პრეტენზია ესპანურ მოქალაქეობაზე. ამ სიის 5 220 გვარს შორის არის ისეთებიც, რომლებიც იდენტიფიცირებულია ქართველი ებრაელების გვარებთან.

თავში „ქართველი წმინდანები“ ავტორი გვიამბობს სამ გამოჩენილ ქართველზე, რომელთა სახელებიც დაკავშირებულია თავისი ებრაელი თანამოძმეების გმირული გადარჩენის ისტორიასთან. რაჭაშიც, სადაც დაიბადა და გაიზარდა სერგო მეტრეველი, ქუთაისშიც, სადაც ცხოვრობდა და აღიზარდა საბა კლდიაშვილი, იმ სულიერ გარემოშიც, რომლის ნათელი წარმომადგენელიც იყო გრიგოლ ფერაძე, როგორც მთლიანად საქართველოშიც, სადაც ისტორიულად, ასეულობით წლების განმავლობაში გამეფებული იყო განსაკუთრებული მეგობრული — ქართულ-ებრაული ურთიერთობის ატმოსფერო. ამიტომ, ასე ბუნებრივია და კანონზომიერი თითოეული მათგანის საქციელი, მათი სულიერი მგზნებარება, მათი სამოქალაქო თავგანწირვა.

დასასრულ ვიტყვით, რომ ავტორის ყურადღებას არ ახლავს ხმაურიანი და ზედმეტი ეროვნული რიტორიკა. ეს მხოლოდ დროის ფაქტებისა და ადამიანთა ბედის ისტორიის მკვლევარის, ჟურნალისტის შენიშვნებია. შენიშვნები დაკვირვებული ადამიანისა, რომელიც არ არის გულგრილი თავის მონათხრობთან დაკავშირებით, არის ნიჭიერი.

**გიორგი ნეზიერიძე**

## ⦿ ფეთქებადსაშიში ვითარება

# როცა უკან დახევა პუტინისთვის პოპულარობის დაკარგვის ტოლფასია

## ომი დაწყებულია და იზრდება საფრთხე, რომ რუსეთის რეგულარული ჯარი ჩაერთვება ამ კონფლიქტში

**მსოფლიო ყურადღება უკრაინისკენ არის მიმართული, სადაც ვითარება ისევ დაძაბული რჩება. აღმოსავლეთ უკრაინაში, ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში, „ბოევიკებმა“ უკრაინული სანიტარიული ვერტმფრენი МИ-8 ჩამოაგდეს, რომელიც დაჭრილთა წასაყვანად მიემართებოდა. მიუხედავად წინასწარი შეთანხმებისა, რომ სეპარატისტები ვერტმფრენს არ ჩამოაგდებდნენ, ცეცხლი მაინც გახსნეს. გარდა ამისა, დონეცკის ოლქში, ქალაქ ენაკიევოში „ბოევიკებმა“ ჩამოაგდეს უკრაინული გამანადგურებელი МИГ- 29.**

აღმოსავლეთ უკრაინაში, ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობის ზონაში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. უკრაინის საზღვართან განლაგებულია რუსეთის რეგულარული არმია. იზრდება საფრთხე იმისა, რომ რუსეთის რეგულარული არმია ჰუმანიტარული დახმარების საბაბით, კონფლიქტში ჩაერთვება. აშშ და დიდი ბრიტანეთი რუსეთს აფრთხილებენ, არ გამოიყენოს ჰუმანიტარული დახმარება აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარების შეყვანის საბაბად.




გაეროში აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლის სამანტა პაუერის განცხადებით, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ნებისმიერი ინდივიდუალური ინტერვენცია, მათ შორის, ჰუმანიტარული დახმარების გაწევის სახით, აბსოლუტურად მიუღებელი და საგანგაშო იქნება, რაც მათი მხრიდან უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრად ჩაითვლება. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ ჰემონდმა რუსეთს მოუწოდა, თავი შეიკავოს ნებისმიერი პროვოკაციული ქმედებებისგან.

აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, ნატომ რუსეთთან თანამშრომლობა შეწყვიტა. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ასევე მიიღო გადაწყვეტილება უკრაინასთან თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. ალიანსი აძლიერებს კოლექტიურ თავდაცვას ნატოს წევრების დასაცავად. ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ნატო-უკრაინის სამიტი, რომელიც სექტემბერში გაიმართება, მხარეებს ახალი პროდუქტიული თანამშრომლობის მხრივ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება.

რასმუსენი მოუწოდებს რუსეთს, რომ არ გამოიყენოს სამშვიდობოები ომის საბაბად.

კიევის მერი ვიტალი კლიჩკო ადგილობრივ მოსახლეობას მაიდანზე წესრიგის დამყარებას სთხოვს. კლიჩკოს განცხადებით, მაიდანზე მოწყობილი დაპირისპირება პროვოკაციაა, რათა დედაქალაქში ვითარების დესტაბილიზაცია მოხდეს. მისივე განცხადებით, მაიდანზე უსაფრთხოებისა და იქ მყოფთა მშვიდობიან განზრახვაზე საუბარი ცოტა რთულია, რადგან სამართალდამცავებმა კარვებიდან დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ასევე ნაპოვნია ავტომატები, ტყვიები, რუსული პასპორტები და რუსული ფული.

უკრაინის შს მინისტრი არსენ ავაკოვი ამბობს, რომ ახლანდელი მაიდანი რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის პროექტია. შს მინისტრის განცხადებით, კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, მოსახლეობის 82 პროცენტი ნეგატიურად არის განწყობილი მაიდანზე გაშლილი კარვების მიმართ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გადაწყვეტიელებას, უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე, ექსპერტები დაგვიანებულად აფასებენ, თუმცა, აქვე ამბობენ, რომ ეს საჭირო გადაწყვეტილებაა. ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთმა ძალიან სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთოს, ვინაიდან, რა ფორმითაც ექცევა დღეს ნატო რუსეთს, არის სწორი და სამართლიანი.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე აცხადებს, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკით ყოველდღე ემსაგავსება საბჭოთა კავშირს. მუჩაიძე ამბობს, რომ უკრაინაში ომი უკვე დაწყებულია.

for.ge გიორგი მუჩაიძეს ესაუბრა.

**— ალიანსის გადაწყვეტილება, გაწყვიტოს რუსეთთან ურთიერთობა, დაგვიანებული არ არის? რუსეთი არის ის სახელმწიფო, რომელმაც შეიძლება დასკვნა გამოიტანოს და გადახედოს თავის პოლიტიკას უკრაინასთან მიმართებაში?**

— საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, რუსეთის მიდგომა იგივე იყო. უბრალოდ პრობლემატური იყო დასავლეთისთვის ამის აღქმა. ჩვენს რეგიონში ვინ შექმნა პრობლემები, ვინ მოახდინა ამ პრობლემების ფორსირება, ვინ უწევდა სეპარატისტულ ძალებს დახმარებას, თავის დროზე ეს არ იყო სწორად და ღრმად აღქმული. 2008 წლის აშკარა აგრესიისა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსეთის ეს მიდგომები აღვივებს კონფლიქტებს და შემდეგ უკვე სამშვიდობო ძალად უნდა შესვლა და წესრიგის დამყარება, იყოს მუდმივად არასტაბილურობა, რომელიც მეტ-ნაკლებად კონტროლირებადი იქნება რუსეთის მხრიდან, ეს არის რუსეთის მოქმედებს სტილი.

**— ანუ დასავლეთმა დაიწყო რუსეთის ამ ილეთის შესწავლა და გაანალიზება?**

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, რაც აშკარად გამოვლინდა უკრაინაში. ჯერ აგრესია მოახდინა, შემდეგ ყირიმის ოკუპაცია და ანექსია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ეს არის პირველი ფაქტი ტერიტორიის ანექსიის. რუსეთი ერთმნიშვნელოვნად არღვევს ყველა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს. უკვე აღქმა იმისა, თუ რა სახის პოლიტიკას ატარებს რუსეთის მხარე, და რომ ის საფრთხეა ევროკავშირის, ნატოს და დასავლეთის უსაფრთხოებისთვის, უკვე ძალიან სწორადაა აღქმული. აქედან გამომდინარე, შედეგიც ვნახეთ, ძალიან სერიოზული სანქციების სახით.

**— მაგრამ რამდენად იმოქმედებს ეს სანქციები რუსეთზე?**

— რუსეთი თავისი პოლიტიკით და მიდგომით ყოველ დღე ემსგავსება საბჭოთა კავშირს. დასავლეთის სანქციების საპასუხოდ, რა სანქციები დაუწესა რუსეთმა დასავლეთს? — იმ პროდუქციის იმპორტი აკრძალა, რომელშიც თვითონ არაკონკურენტუნარიანია. გარდა ამისა, აპირებენ, გადასახადი დაუწესონ რუს ტურისტებს, თუ დასავლეთში წავლენ დასასვენებლად. იმ სტილით და პოლიტიკით მოქმედებს, რასაც ატარებდა საბჭოთა კავშირი. რამდენად მდგრადია ასეთი ქვეყნების მომავალი, ეს ისტორიამ კარგად გვასწავლა.

ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს რუსეთის ხელისუფლებას. ფაქტობრივად, პუტინი მომწყვდეულია მის მიერ შექმნილ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც მანევრირება გაუჭირდა.

ძალიან საინტერესო გამოკითხვა იყო, სეპარატისტთა ლიდერები, რომლებიც მოქმედებენ აღმოსავლეთ უკრაინაში, პოპულარობით არ ჩამოუვარდებიან და უსწრებენ კიდევაც პუტინს. ასე რომ, პუტინისთვის უკანდახევა იქნება პოპულარობის დაკარგვის ტოლფასი.

როგორც ვხედავთ უკრაინის ძალები ნელ-ნელა იბრუნებენ ტერიტორიებს და შეიძლება ახლო მომავალში დონეცკი და ლუგანსკიც გაწმინდონ მებრძოლებისგან. ეს იქნება ძალიან დიდი კრახი რუსეთის იმ პოლიტიკის, რომელიც საბოლოო ჯამში რუსეთის ინტერესებში არაა, მაგრამ ამ პოლიტიკის კრახი რუსეთის რეჟიმისთვის იქნება დამღუპველი.

**— ამ ფონზე, რამდენად იზრდება რუსული ინტერვენციის საფრთხე?**

— ვფიქრობ, რომ იზრდება რუსული მხარის ინტერვენციის რისკები. აქ უკვე საუბარია ამ რეჟიმის შენარჩუნებაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება ძალიან აგრესიული გახდეს რეჟიმი და ყველაფერს შეიძლება მოველოდოთ. ომი დაწყებულია, შეიძლება ომის ესკალაცია მოხდეს და უკვე ოფიციალურად ჩაერთოს რუსეთის რეგულარული ჯარი ამ კონფლიქტში.

ახლა მიმდინარეობს შედარებით დაბალი ინტენსივობის ომი, მაგრამ საკმაოდ დიდი მსხვერპლით. რუსეთის რეგულარული არმია, რომელიც უკრანის საზღვართან დგას, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩაერთოს ამ აგრესიაში. მით უმეტეს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს პირდაპირ განუცხადა — თქვენ მაქსიმალურად მზადყოფნაში უნდა იყოთ, ნებისმიერ დროს შეიძლება დასჭირდეს ქვეყანას თქვენი სამსახურიო.

ასევე, თუ გადავხედავთ მასმედიას, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მზადდება ხალხის აზრი ომის მხარდასაჭერად და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ასე რომ, ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად ხდება მზადება. მით უმეტეს, თუ უკრაინელებმა დაიწყეს ბანდფორმირებისგან დონეცკის და ლუგანსკის გაწმენდა, ამ შემთხვევაში იზრდება ესკალაციის საფრთხე და რუსეთის რეგულარული არმია ე.წ. სამშვიდობო ძალების მისიით ჩაერთვება კონფლიქტში. ასე რომ, ომი დაწყებულია, უბრალოდ იზრდება აგრესიის და იმის საფრთხე, რომ რუსეთის რეგულარული ჯარი ჩაერთვება ამ კონფლიქტში.

**თამთა ქარჩავა**

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთში იშვიათი გენეტიკური დაავადების შესწავლამ მოგვცა ართროზით მილიონობით დაავადებულის მკურნალობის იმედი**

**მეცნიერებმა დიდი ბრიტანეთიდან აღმოაჩინეს ხრტილოვანი ქსოვილის დანგრევის ახალი მექანიზმი, რომელსაც მივყავართ ოსტრეოართროზთან და საბოლოოდ ადამიანის ინვალიდიზაციასთან. ამჟამად დაავადება განუკურნებლად ითვლება, მაგრამ ეს აღმოჩენა შეიძლება დაგვეხმაროს ოსტეოართროზის მკურნალობის დამუშავებისათვის.**

* * *

**უკრაინის აღმოსავლეთში სოფელი სტეპანოვკა დაბომბეს, გორლოვკაში ორი ტაძარი დაანგრიეს**



**სამხედროები აცხადებენ, რომ მზად არიან, დაიკავონ სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი დონეცკი, ამტკიცებენ, რომ მათი მოწინააღმდეგეები დემორალიზებული არიან და გარბიან დონბასიდან. ამ დროს შეიარაღებულ აქტივისტებს ეშინიათ, რომ დონეცკს სტალინგრადის ბედი უწერია, მაგრამ მზად არიან, „იბრძოლონ ძალების ნებისმიერი შეფარდებისა და ნებისმიერ პირობებში“.**

* * *

**20 ათასი იეზიდი გადარჩა ერაყელი ისლამისტებისა და შიმშილით სიკვდილისაგან, როდესაც სინჯარის მთებიდან ქურთების მფარველობით დაბლა დაეშვნენ**



**ლტოლვილებმა, რომლებმაც რამდენიმე დღე გაატარეს საკვებისა და წყლის გარეშე, განახორციელეს წარმოუდგენლად რთული გადასვლა ქედზე ქურთების სამხედრო ქვედანაყოფების მეშვეობით და მიაღწიეს დროებით თავშესაფარს ერაყის ქურთისტანში. ათასობით იეზიდი კვლავ ბლოკირებულია ისლამისტების მიერ, მათგან სიკვდილის დაშინებით მოითხოვენ, მიიღონ ისლამი.**

* * *

**იაპონიაში ტაიფუნმა „ჰალონგმა“ 9 კაცის სიცოცხლე შეიწირა, 2 უგზო-უკვლოდ დაიკარგა**

**სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები მიიღეს სულ ცოტა 80-მა კაცმა, სულ ცოტა 342 სახლი დაინგრა ნაწილობრივ ან მთლიანად. საერთოდ, ევაკუაციის რეკომენდაცია მიიღო სულ ცოტა 1,6 მილიონმა კაცმა. ამჟამად ტაიფუნი „ჰალონგი“ წავიდა იაპონიის ზღვის მიმართულებით.**



მარიამობისთვის ჩანაწერები



# ვალაუვალი მევალე

**უფროსი თაობის თბილისელებს უეჭველად ემახსოვრებათ გიორგი გაბელაშვილი — კოლორიტული პიროვნება, საუცხოო სტომატოლოგი, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი...**

ბატონი გიორგი უკვე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მის გზას, კარგა ხანია, უნაკლოდ განაგრძობს ვაჟიშვილი — ოთარი, რომელსაც ახლახან 80 წელი შეუსრულდა. **ოთარ გაბელაშვილი** პროფესიით მეტალურგია. ერთი ხანობა მეტალურგიის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილეც კი იყო, თუმცა, მანამდე მამას ეხმარებოდა, რუსთაველის 40 ნომერში, გიორგი გაბელაშვილის სტომატოლოგიურ კაბინეტში ტრიალებდა და ისე დაოსტატდა, თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო სტომატოლოგის სახელი დაიგდო, მაგრამ წლები წლებია, ბატონი ოთარი კბილის ექიმობას შეეშვა, თუმცა, ვერ შეეშვა, ერთ დროს, მამის დანატოვარ კაბინეტში უახლოეს მეგობრებთან შეხვედრებს და თითო ჭიქის აწევას. ერთხელ მეც შევესწარი, როგორ იკრიბებიან აქ ნაშუადღევს, ნელ-ნელა, ძველი თბილისელები, რომელთაგან ზოგი პენსიონერია, ზოგი უმუშევარი, სინდის-პატიოსნებით სავსე ინტელიგენტები, რომლებიც რაღას აღარ მოესწრნენ, მაგრამ სული შერჩათ.„უსპეტაკეს თოვლისა“, სითბო და სიყვარული შერჩათ ამ მწვანე ბანკნოტების ფრიალ-ფრიალის ჟამს.

სადილზე დასწრების უფლებას, „გაბელაშვილის აკადემიის“ წევრობას, მოპოვება უნდა. აქ ერთადერთ საგანში — „კაცობაშია“ გამოცდა ჩასაბარებელი, მაგრამ, რახან დღეს, სამწუხაროდ, ცოტას შერჩა კაცობა, „აკადემიას“ იშვიათად ემატებიან ახალ-ახალი სახელები.

ამ თავყრილობას „ბრძენთა საბჭოსაც“ ეძახიან. დარბაისლურია მათი საუბარი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე, ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, მეგობრებზე...

სადილს ერთ-ერთი ამზადებს, ერთ-ერთს ღვინო მოაქვს, სუფრასაც თვითონ აწყობენ (არ დაიბნეთ: როგორც აღვნიშნე, ეს მამის დანატოვარი კაბინეტია, თორემ ოთარ გაბელაშვილი ოჯახით საბურთალოზე ცხოვრობს)... და შეექცევიან... ჰყვებიან ამ მთისას, იმ ბარისას...

ერთხელ ჯანსულ ჩარკვიანს ექსპრომტი უტყორცნია მეგობრებისთვის:

**„ერთ რამეს გეტყვით ნაღდსა და წმინდას,**
**არ ვიცი, ვისგან მოველი შველას,**
**ყველას ოთარის კბილები გვიდგას**
**და ერთმანეთის „ზუბი“ გვაქვს ყველას!**
**თქვენ რომ ხართ ძმები, მართლა ტყვილია:**
**ხართ ნაღდები და შუქჩაუმქრალი,**
**ყველაფერი რომ დაკეტილია,**
**ღიაა მუდამ თქვენი დუქანი“.**

ზარი.

— ავთო საყვარელიძე!

— კი, მისი ზარია!..

მართლაც, ავთანდილ საყვარელიძე შემოდის, გამორჩეული ქართველი მამულიშვილი, უნიკალური თბილისელი ინტელიგენტი და მეგობრებს გადაყოლილი კაცი. საერთო სალამი, შეძახილი, მოფერება...

— აბა, ჩაიწიეთ, ავთო დასვით! ნახე, რა ლობიო გვაქვს, ბიჭო!

ავთანდილ საყვარელიძეს არ გაჰკვირვებია ჩემი იქ ყოფნა. მომესალმა, მეგობრულად თვალიც ჩამიკრა.

— ახლა, ძმებო, ჩვენი მამების ხსოვნისა დავლიოთ, — ამბობს ოთარ გაბელაშვილი, — ავთო საყვარელიძემ ერთხელ თქვა, ჩვენი მამების სადარი თაობა არ ჰყოლია საქართველოსო... ასპოცენტიანია!... რამდენი ვაიუბედურება, ომები და რეპრესიები გადაიტანეს, რას არ გაუძლეს და მაინც კაცებად დარჩნენ ბოლომდე!.. მიირთვი ავთო!.. ავთანდილ საყვარელიძე ჭიქას იღებს: — ხსოვნა იყოს ჩვენი მამების!.. მარტო ოთარის მამის გიორგი გაბელაშვილის ხსენება რად ღირს — კაცობის ეტალონი, თავისი საქმის დიდოსტატი, ნიჭიერი მსახიობი, რომელმაც 1936 წელს შურა თოიძესთან ერთად მთავარი როლი ითამაშა, ფილმ „ჟუჟუნას მზითევში“.. მერე ჰქონდა შესანიშნავი ეპიზოდური როლები... უფრო ადრე, თავის ძმასთან, სერგო გაბელაშვილთან ერთად, მონაწილეობდა კოჯრისა და ვაზიანის ბრძოლებში... გვერდით მოუკლეს უახლოესი ნათესავი მარო მაყაშვილი!.. ხსოვნა იყოს ძმებო!

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ავთანდილ საყვარელიძე იღებს ჭიქას: — ახლა ჩვენს მასპინძელს გაუმარჯოს! დღეს, როცა ასე გაძვირდა გულის სითბო, რუსთაველის 40 ნომერში სიყვარულის ოაზისია და ეს სიყვარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! ჩვენ ძმას — ოთარ გაბელაშვილს გაუმარჯოს! ხომ გახსოვთ, ოთარს „ვალაუვალი მევალე“ რომ უწოდა ჩვენმა მინდია უგრეხელიძემ. და მართლაც: მისი ყოველდღიური ცხოვრება, სიკეთის თესვის წარმოუდგენელი უნარი, თითქოს ყველას მიმართ ვალში ყოფნა, მხოლოდ ოთარს თუ შეუძლია. მაგრამ, საბედნიეროდ, ვალაუვალია მის მიმართაც ჩვენი საზოგადოება, ინტელიგენცია!



მერე, ხვალინდელი დღის იმედით, საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენით, ნელ-ნელა იშლებიან მეგობრები. ოთარი ბოლოს მიდის, საბურთალოზე მიიჩქარის. სადაც თავისი ჯალაბი ელოდება.

# „შენი ავადმყოფობა აღარ გამაგონო, ჯიმა!“

ავადაა **გურამ ფირცხალავაო,** თქვეს ბიჭებმა.

გურამ ფირცხალავა — არა მარტო ჩვენში ცნობილი და საყვარელი კინომსახიობი...

— რა მოუვიდა, ნეტა, ჩემ სტუდქალაქელ მეგობარს?!.

— გავიფიქრე და დავურეკე.

...გაგვახარა ტელეფონზე ერთმანეთის ხმის გაგონებამ, რა ხანია, აღარ გვისაუბრია.

— ვწევარ ძმაო, რადიკულიტი გამირთულდა, სამწვერა ნერვის ანთება განვითარდა და ახლა გადასხმებს ვიკეთებ... ერთი კერძო მკურნალი აღმოჩნდა, მე მოვარჩენ გურამსო, უთქვამს და ვნახოთ, იმედი მაქვს!..

ვხალისობთ ტელეფონზე:

— ჩვენი ძველი ხის კორპუსი კი დგას, ჯერჯერობით, სტუდქალაქის ტერიტორიაზე...

— ნაყიდი ექნება ვინმეს, რა თქმა უნდა... თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის სტუდენტები ვცხოვრობდით მასში ძირითადად...

— მე ხშირად მოვდიოდი ხოლმე შენს ოთახში... ლამაზ-ლამაზი გოგონები არ გცილდებოდნენ... ოთარ რამიშვილი იყო, კიდე, ხშირად, თავისი გიტარით...

— იცი, რა მიქნა ერთხელ ოთარმა?! „პლანი“ მომაწევინა, კაცო!.. მე, ერთი ფოთელი ბიჭი ვარ, ალალმართალი, მურმანსკიდან, ჯარიდან ჩამოვედი და მოვეწყვე თეატრალურზე... რა ვიცი, „პლანი“ რა არის!.. პაპიროსს ეწეოდა და მომაწევინე-მეთქი. ახლავეო, და მომაწოდა ღერი. თურმე, „პლანითაა“ გატენილი. არ მომეწონა, ნაფაზი რომ დავარტყი, გული ამერია. კარგია, კარგია, ახლა „კაიფში“ ხარო, მითხრა!.. (აცხონოს ღმერთმა)..

ვხარხარებთ ორივენი ტელეფონში. — ისე, გამომადგა ის მოწევა, მოგვიანებით აღარ გავკარებივარ, მეზიზღებოდა!.. აი, სად იყო გაერთიანებული საქართველო, ჩემო ძმაო!.. ერთად ვცხოვრობდით ყველა კუთხის შვილები... აფხაზი მყავს სტუდქალაქში მონათლული!.. ნეტა იმ დროს!

— რომელ კურსზე იყავი, მაცი ხვიტიას როლი რომ შემოგთავაზა გიორგი შენგელაიამ?

— მეორეზე... ინსტიტუტის რექტორმა ილია თავაძემ მითხრა, დაანებე თავი მაგ ჩოხიანი ყაჩაღის თამაშს და ინსტიტუტში იარეო, მაგრამ საოცრად ვიყავი ატაცებული. დამამტკიცეს როლზე, წავედით სვანეთში გადაღებებზე, იქ სვანმა ძმაკაცებმა დეკეული დამიკლეს, რა თქმა უნდა, დავლიე. ჯგუფში რომ დავბრუნდი, მისაყვედურეს, მე მეწყინა, მოხდა გაწევ-გამოწევ და... მორჩა ჩემი მაციხვიტიობა...

— არადა, მართლაც ნაღდი მაცი ხვიტია იყავი... წვერით, მეგრული სიცქაფით, სიკოხტავით...

— ეეეე... წავედი მშობლიურ ფოთში... ცოტა დავწყნარდი, რომ ჩამოვედი, მხვდება ჩვენი ზურა ქაფიანიძე, ერთი კაცი ახლავს. გამაცნო მიშა ხერგიანი — ჩვენი სიამაყე... ვიქეიფოთო, მითხრა ზურამ. წავედით, მერე მიშამ წაგვიყვანა თავის დასთან. იქ ჯიხვის ხორცი ჰქონია ჩამოტანილი... ვუბერეთ და ვუბერეთ!..

— მაგრამ, მაინც წავიდა შემდეგ მთელი სერიალი ფილმებისა შენი მონაწილეობით... ზეპირად იციან შენი ნიჭის თაყვანისმცემლებმა.. რომელს გამოარჩევ მათგან?..

— რა ვიცი, ბევრია... რა ჩამოთვლის მაგათ...

— ისე, გაზეთებში ხშირად ეხმაურები ხოლმე საქართველოს დღევანდელ პრობლემებს...

— საჭიროა, ძმაო... იცი, რა გამიხარდა საოცრად ამ ორი კვირის წინათ? ჩვენმა უწმინდესმა თეთრი რაში რომ აჩუქა ირაკლი ღარიბაშვილს. საქმე ის არის, ჩემ ნათქვამს დაემთხვა. ამ რამდენიმე თვის წინათ, ერთმა შენმა კოლეგამ მკითხა, ბოლოსდაბოლოს, ვინ შეკაზმავს ცხენს, ბატონო გურამო?..

— მე მჯერა, რომ ღარიბაშვილი ცხენსაც შეკაზმავს და ევროპა-ამერიკას მოივლის იმ ცხენით-მეთქი!.. რა თქმა უნდა, სიმბოლურად!

— აბა, ახლა, დროებით გურამ, კიდევ დაგირეკავ! შენი ავადმყოფობა აღარ გამაგონო, ჯიმა!..

— იცოცხლე, დიდი მადლობა მოკითხვისთვის... გავხალისდი ცოტა... არა უშავს, მალე დავიჭიხვინებ! მომიკითხე ბიჭები!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათებზე: გიორგი გაბელაშვილი და ალექსანდრე ჟორჟოლიანი ფილმში — „თოჯინები იცინიან“; ოთარ გაბელაშვილი; გურამ ფირცხალავა და ზურაბ ქაფიანიძე.**



ალიანჩალიანი

## ნინიგორელები წყალს ითხოვენ

**ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის მოსახლეობამ, სასმელი წყლის მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართა. ადგილობრივების თქმით, 20 წელზე მეტია, რაც სოფელს წყალი არ მიეწოდება და წყლის მოტანა რამდენიმე კილომეტრიდან უწევთ.**

**მათივე თქმით, სოფლის ჭაბურღილი, საიდანაც ალტერნატიული წყალმომარაგება ხდებოდა, გვალვის გამო დაშრა.**

**აქციის მონაწილეები ადგილობრივ ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ პრობლემის შესახებ არაერთხელ აცნობეს, თუმცა, მისი მოგვარებით არავინ დაინტერესებულა.**

**ნინიგორში გამართულ საპროტესტო აქციაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მივიდა. გოდერძი ბარბაქაძის განცხადებით, მას პრობლემის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. საკრებულოს თავმჯდომარე ნინიგორელებს პრობლემის შესწავლას და მისი მოგვარებას მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში დაპირდა.**

## ვადაგასული სურსათი ამოიღეს

**სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ქალაქის რამდენიმე უბანში მონიტორინგის შედეგად დარღვევები გამოავლინეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სააგენტოდან აცნობეს, ამოღებული და განადგურებულია დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათი — სხვადასხვა სახეობის ხორცპროდუქტი, მათ შორის 60 კგ ბრაზილიური წარმოების ქათმის ფარში, გაურკვეველი ვადის ქათმის ბარკალი, ძეხვეული, სოსისი, ლორი, ხინკალი, პელმენი; რძის პროდუქტები — კარაქი, მარგარინი, იოგურტი, კეფირი, მაწონი, მდნარი ყველი; თევზი „ლეშა“; კუსტარული წესით დამზადებული გაურკვეველი წარმოებისა და ვადის ნახევარფაბრიკატები.**

**„ვადაგასული სურსათის რეალიზაციისათვის დაჯარიმდნენ: შარტავას ქუჩაზე - ი/მ „ზაირა ჩხიკვიშვილი“, ცოტნე დადიანის ქუჩაზე - ი/მ „სოფიკო დურული“, ი/მ „მზევინარი პაიჭაძე“ და ი/მ „გია ლურსმანაშვილი„, ჩიტაიას ქუჩაზე - შპს „ჰორიზონტი“; წინამძღვრიშვილის ქუჩაზე - შპს „ვაკე“. გარდა ამისა, ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე შპს „სფერო-SPERO“ და შპს „ექსტრა“ ეტიკეტირების წესის დარღვევით აწარმოებდნენ ნახევარფაბრიკატებისა და რძის პროდუქტების რეალიზაციას. სურსათზე არ იყო მითითებული დამზადების თარიღი, რეალიზაციის ვადები და პროდუქციის შემადგენლობა, რის გამოც ბიზნესოპერატორები 400-400 ლარით დაჯარიმდნენ“, — აცხადებენ სააგენტოში.**

**ინტერპრესი**

## წინ, საქართველო!

# პაპანაქება ზაფხულში...



**კვირა საღამოს დედაქალაქის სპორტის სასახლეში უფრო ცხელოდა, ვიდრე ქუჩაში. „ევრო-2015"-ის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე ჩეხებთან ბრძოლისთვის მასპინძლებმა, ეტყობა, შეგნებულად აირჩიეს კრემატორიუმივით გავარვარებული დარბაზი, სამხრეთელები ხომ უკეთ ვიტანთ სითბოსო, ირონიას დაესადგურებინა ტრიბუნებზე.**

სხვათა შორის, საპატიო სტუმართა ლოჟას თბილისის ახალი მერი დავით ნარმანიაც ამშვენებდა „საროჩკის" აკაპიწებული სახელოებით. დავიჯერო, მას არ აწუხებდა უჰაერობა? მოკლედ, ბატონო დავით, გაითვალისწინეთ გულშემატკივართა თხოვნა-ვედრება და ჩართეთ კონდიციონერები – 24 და 27 აგვისტოს ხომ უნგრეთი და პორტუგალია გვეწვევიან!

**საქართველო – ჩეხეთი 73:62**

**საქართველო:** ფაჩულია – 19, შენგელია, სანაძე, ცინცაძე – 10-10, სანიკიძე – 8, ფაცაცია – 7, ბურჯანაძე – 6, ლეჟავა – 3 ქულა.

ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, მარკოიშვილის, შერმადინისა და ჰიკმანის ტრავმებმა იგორ კოკოშკოვის გუნდს თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესით გამოწვეული სირთულეები უნდა შეუმსუბუქოს. დიახ, ძნელი სათქმელია, ზემოთ დასახელებული მრისხანე ტრიო რომ იყოს მწყობრში, მიეცემოდათ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება „ჯვაროსანთა" დებიუტანტებს, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ოფიციალურ შეხვედრებში ჩეხებთან მოპოვებულ პირველ გამარჯვებაში. ეს განსაკუთრებით დუდა სანაძეზე ითქმის, რომელიც მამის – გია სანაძის მსგასად, ზუსტი სამქულიანებით გამოირჩევა და ამჯერად სწორედ ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში შეეშველა პარტნიორებს პერიმეტრიდან რამდენიმე შედეგიანი ტყორცნით.

მოგეხსენებათ, რაც არ უნდა ნიჭით იყოს მადლცხებული, ახალგაზრდობას პირად მაგალითს ძველი გვარდია უნდა აძლევდეს. ჰოდა, უკვე მერამდენედ, დავრწმუნდით, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ზაზა ფაჩულიას სახით ჭეშმარიტი ლიდერი ჰყავს, რომელსაც სანიკიძის, შენგელიასა და ცინცაძის მხრიდან სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში მთების გადადგმა შეუძლია.

რაც შეხება სტუმრებს, სხვისი არ ვიცი და, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გიგანტების – ვესელის, ბენდასა და ჰოუსკას, აგრეთვე სნაიპერული მონაცემებით დაჯილდოებული გამთამაშებლის ელინეკის არყოფნაში წინააღმდეგობას ენთუზიასტთა ახალშეკოწიწებული გუნდი გვიწევდა, რომელსაც ყოჩი აკლდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აფერმკრთალებს ჩვენებურთა წარმატების მნიშვნელობას.

**პორტუგალია – უნგრეთი 38:58.**

**ხვალ:** უნგრეთი – საქართველო (ამ მატჩის ტელერეპორტაჟი I არხზე 20 საათზე დაიწყება).

**გია პლატონიშვილი**

## თავისუფალი ჭიდაობა

# ერთადერთი „ოქრო"



**ზაგრებში ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ერთადერთი ოქროს მედლით დაასრულა. იყოჩაღა მძიმეწონოსანმა გენო პეტრიაშვილმა, რომელიც კონკურენტებზე მთელი თავით მაღლა იდგა. დანარჩენ ქართველთაგან ბრინჯაომდეც ვერავინ მივიდა.**

პეტრიაშვილმა ოთხი შეხვედრა (პირველ წრეში ისვენებდა) მოიგო – მეტოქეებს 41 ქულა აართვა, თავად კი ქულაც არ დაუკარგავს! პირველ ორთაბრძოლაში პოლონელი კამილ კოსციოლეკი იოლად დაჯაბნა – 10:0, ბულგარელ მარიან ტოდოროვს უკვე 39 წამში 6:0 უგებდა. საბოლოოდ 11:0 გაიმარჯვა. ნახევარფინალში ირანელ ამინ ტაჰერისაც 10:0 აჯობა. ქართველ ფალავანს ფინალში კანადელი ამარ დესის დასამარცხებლად 40 წამი ეყო – 10:0 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

**ლექსო ცინცაძე**

## მშვილდოსნობა

# კვარცხლბეკამდე ნაბიჯი დააკლდათ

**პოლონურ ვროცლავში დამთავრდა მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი. საქართველოს ქალთა ნაკრებმა (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე და იულია ლობჟანიძე) შესარჩევში 1923 ქულა მოაგროვა, რაც მეექვსე შედეგი აღმოჩნდა. პლეი ოფის პირველ წრეში მეტოქედ ბრიტანეთის ნაკრები გვერგო.** ჩვენმა ქალებმა კუნძულელები საგრძნობი უპირატესობით დაამარცხეს – 6:2. ბადის მეორე მხარეს უკრაინამ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას მოუგო – 5:3. მეორე წრეში ქართველებმა ოლიმპიური პრიზიორით – ხათუნა ლორიგით **(ქვრივიშვილი)** გაძლიერებული აშშ-ის ნაკრები ჩამოიშორეს გზიდან – 5:4, ნახევარფინალში ჩვენმა სამეულმა გუნდურში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ინდოეთთან 2:6 წააგო. ბრინჯაოს მედალს ქართველებს ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ფინალისტი ჩინეთი ეცილებოდა. ფავორიტებმა 6:0 მოიგეს და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ჩვენი გუნდი მე-4 ადგილზე გავიდა. მთავარი პრიზი ინდოელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში მექსიკელებს სძლიეს – 6:0. ოკეანისგაღმელებმა ინდოელებს რევანში ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში აუღეს – გადამწყვეტ პაექრობაში 5:3 მოუგეს. მესამე ადგილი იქაც ჩინელებს ხვდათ – რუსებს 5:3 აჯობეს.



**ლაშა დიდია**

**სურათზე:** იულია ლობჟანიძე ინდოელებთან ერთად ასპარეზობისას.

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**XXVI ეროვნული ჩემპიონატი. I ტური.** „დინამო" – „სამტრედია" 2:0 (ჩისკო, პაპუნაშვილი), „კოლხეთი" – „ტორპედო" 0:3, „ზესტაფონი" – „გურია" 6:0, „მეტალურგი" – „ბათუმი" 2:1, „დილა" – „ცხინვალი" 2:0, „შუქურა" – „ზუგდიდი" 2:1, „მერანი" – „ვიტ ჯორჯია" 0:2.

* * *

**ინგლისი. სუპერთასი.** „არსენალი" – „მანჩესტერ სიტი" 3:0.

**ჰოლანდია. I ტური.** „აიაქსი" – „ვიტესი" 4:1, „დენ ჰააგი" – „ფეიენოორდი" 0:1, „ტიბლურგი" – „პსვ" 1:3.

**საფრანგეთი. I ტური.** „რეიმსი" – „პსჟ" 2:2, „მონაკო" – „ლორიენი" 1:2, „მონპელიე" – „ბორდო" 0:1.

**გიორგი შოთაძე**

## ჭადრაკი

# ფინიშამდე სამი ტურით ადრე - ათეულს მიღმა

**მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელსაც ნორვეგიული ტრომსო მასპინძლობს, შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე საქართველოს ქალ-ვაჟთა ნაკრები გუნდები კვარცხლბეკს საკმაოდ დაშორდნენ.**

**მე-6 ტური. ქალები.** საქართველო-ლატვია 3:1 (ნანა ძაგნიძე-დანა ოზოლი 1:0, ლაურა როგულე-ლელა ჯავახიშვილი 0:1, სალომე მელია-ილზე ბერზინა 1:0, კატრინა სკინეკე-ნინო ბაციაშვილი 1:0); **ვაჟები. აზერბაიჯანი-საქართველო** 3,5:0,5 (შაჰრიარ მამედიაროვი-ბაადურ ჯობავა 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი-ტეიმურ რაჯაბოვი 0,5:0,5, რაუფ მამედოვი-გაიოზ ნიგალიძე 1:0, კონსტანტინე შანავა-ელთაჯ საფარლი 0:1).

**მე-7 ტური. ქალები.** საქართველო-სერბეთი 3:1 (ნანა ძაგნიძე-ნატაშა ბოიკოვიჩი 0,5:0,5, იოვანა ვოინოვიჩი-ბელა ხოტენაშვილი 0:1, ლელა ჯავახიშვილი-ანელი სტოიანოვიჩი 1:0, მარია რაკიჩი-სალომე მელია 0,5:0,5); **ვაჟები.** საფრანგეთი-საქართველო 3:1 (მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი-ბაადურ ჯობავა 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი-ეტიენ ბაკრო 0:1, ლორენ ფრესინე-ლევან ფანცულაია 0:1, გაიოზ ნიგალიძე-რომაინ ედუარდი 0:1).



**მე-8 ტური: ქალები.** უკრაინა-საქართველო 2,5:1,5 (ანა მუზიჩუკი-ნანა ძაგნიძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი-მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ანა უშენინა-ლელა ჯავახიშვილი 1:0, სალომე მელია-ნატალია ჟუკოვა 0:1); **ვაჟები.** საქართველო-ყაზახეთი 2:2 (ბაადურ ჯობავა-ანუარ ისმაგამბეტოვი 0,5:0,5, პიოტრ კოსტენკო-მიხეილ მჭედლიშვილი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია-რუსტამ ხუსნუტდინოვი 1:0, ასლან აიტბაიევი-კონსტანტინე შანავა 1:0).

**რვა ტურის შემდეგ: ქალები.** რუსეთი-16, ჩინეთი-14, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა-13-13 ქულა, 8 გუნდს 12-12 ქულა აქვს. საქართველოს ქალთა ნაკრები 11 ქულით მე-14 ადგილზეა. **ვაჟები.** ჩინეთი-14, საფრანგეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, რუმინეთი13-13 ქულა. საქართველო 10 ქულით 37-ეა.

**ასმათ ფილია**

## ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები

# 7 სახეობაში – 12 სპორტსმენით

**ოთხი წლის წინათ სინგაპურში მსოფლიო ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო ხუთი სპორტსმენით იყო წარდგენილი და იქიდან ერთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. წლეულს მსგავს შეჯიბრებას 16-28 აგვისტოს ჩინური ნანძინი უმასპინძლებს.** ამჯერად 7 სახეობაში 12 სპორტსმენი გვეყოლება: **4 მძლეოსნობაში** – მარიამ ძაგნიძე, გოგა მაღლაკელიძე (ორივე – სიგრძეზე ხტომა), გიორგი მუჯარიძე (ბირთვის კვრა), გიორგი ონიანი (უროს ტყორცნა). **2 ძიუდოში** – მარიამ ჯანაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი, ამდენივე **თავისუფალ ჭიდაობაში** – მექი სიმონია, ივერი ჯულაყიძე, თითო **ბატუტზე ხტომაში** – თეონა ჯანჯღავა, ფარიკაობაში – ნიკა შენგელია, **ცურვასა** – აკაკი ვაშაკიძე და **კრივში** – გიორგი ხარაბაძე. სულ დელეგაციაში (ხელმძღვანელი – სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი) 26 წევრი იქნება. მედროშეა კირაკოზაშვილი, მსაჯები – ედიშერ მაჩაიძე (ჭიდაობა) და ვლადიმერ ნუცუბიძე (ძიუდო).



**გივი გაგუა**

**სურათზე:** ლიცენზიატები.

სულთათანა

# ოთარ ზარდალიშვილი

## კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მეცნიერი დააკლდა საქართველოს



გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს ყოფილი აგრარული უნივერსიტეტის აგროქიმიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი **ოთარ ზარდალიშვილი**.

აგრარული უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სამეცნიერო მუშაობა დაიწყო საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და აგრომელიორაციის კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს მუშაკად, შემდეგ აგროქიმიის განყოფილების გამგედ.

1977 წელს დაინიშნა საკავშირო აგროქიმიური მომსახურების თბილისის ფილიალის დირექტორად.

1981 წლიდან აგროქიმიის კათედრის პროფესორია, ხოლო 1982 წლიდან — აგროქიმიის კათედრის გამგე.

1973 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაცია გამოიცა მონოგრაფიის სახით.

1976 წელს მოსკოვში საერთაშორისო კონგრესებზე მისმა მოხსენებამ „აზოტის ბალანსი დასავლეთ საქართველოს ეროზირებულ ნიადაგებში" — კონგრესის მედალი დაიმსახურა.

ბატონ ოთარ ზარდალიშვილს გამოქვეყნებული აქვს 200 შრომა, მათ შორის 10 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო.

1984 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფესორი ოთარ ზარდალიშვილი იყო შეუდარებელი აღმზრდელი და მასწავლებელი. ქართული კულტურის და ისტორიის საუცხოო მცოდნე. ჰქონდა არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭი. იყო პოეზიის ჭეშმარიტი მოტრფიალე, მის ლექციებს და სემინარებს არა მარტო მისი, არამედ სხვა სპეციალობის სტუდენტებიც ესწრებოდნენ, რადგანაც ეს იყო ლექციები არა მარტო აგროქიმიის საკითხებზე, არამედ საქართველოს კულტურაზე, ისტორიასა და ზნეობაზე.

ბატონი ოთარი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავჯდომარე.

მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა 30 სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა კანდიდატი და 2 დოქტორი.

ხსოვნა დიდ მამულიშვილზე, მოქალაქეზე, აღმზრდელზე, პედაგოგზე, მეცნიერზე მანამ იცოცხლებს, სანამ ამ ქვეყნად განსწავლულობას და პატიოსნებას ფასი ექნება.

ბატონი ოთარის ხსოვნა მარად დარჩება მის მიერ აღზრდილ მეცნიერთა გუნდში.

**ყოფილი აგროქიმიის კათედრის თანამშრომლები**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ცნობილი არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის

**გურამ ნემსაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.



## დაზუსტება

2014 წლის 18 სექტემბერს 15 საათზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, დაბა სტეფანწმინდას გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა№1) გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 125-ე კმ-ზე მდ. ჩხერეზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.georoad.ge

● დაბა ყაზბეგის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია).

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირს — ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595 219141, likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

სანთელი

# ვალმოხდილი მამულიშვილი



ქართველ მშენებელთა კოჰორტას გამოაკლდა ვალმოხდილი მამულიშვილი, აღიარებული შემოქმედი და ქველმოქმედი, მეგობრობის ბაირახტარი, ჭეშმარიტად ეროვნული კაცი, ქართული ტრადიციების ერთგული გუშაგი და ტრადიციული ოჯახის პატრონი, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი, ღვთივკურთხეული პიროვნება, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, „ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსი, სპეტაკი პატრიოტი ქართველი **ზაურ ევგენის ძე ლაბარტყავა**.

ზაურ ლაბარტყავა დაიბადა 1942 წელს ქ. ფოთში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი განაწილების საფუძველზე 1966-1995 წლებში მუშაობდა გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" სისტემაში.

იგი სამშენებლო საქმიანობაში ჩაერთო 1966 წელს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. შემდეგ გადაიყვანეს გაერთიანება „საქჰიდრომშენის" სამმართველოში. საგულისხმოა, რომ „ჰინვალჰესის" და „ზაჰესის" საბინაო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები აშენებულია მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ამ მშენებლობათა ხარისხიანად შესრულებისა და ვადაზე ადრე ჩაბარებისთვის მას მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული მშენებლის" წოდება.

1995-2000 წლებში ზაურ ლაბარტყავა მუშაობს გაერთიანება „საქგვირაბმშენის" ფილიალ „ფოთი-პორტმშენის" გენერალურ დირექტორად. ამ პერიოდში იგი კვლავ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. სახელდობრ: სუფსის ტერმინალის, ქ. ფოთის პორტის ნავთობის ტერმინალის, პირველი, მეორე და მეთოთხმეტე ნავმისადგომის მშენებლობასა და რეაბილიტაციაში. მას ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი რკინიგზის ბორნის მშენებლობაში.

საქვეყნო მშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ზაურ ლაბარტყავა ჯერ კიდევ 1999 წელს „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა. 2000 წლიდან იგი აქტიურად იწყებს ბიზნესსაქმიანობას, ქმნის საკუთარ ფირმას შპს „175/2 ფაზისს", სადაც გენერალურ დირექტორად მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ზაურ ლაბარტყავა გამოირჩეოდა არა მარტო შესანიშნავი პროფესიული, არამედ ასევე პიროვნული თვისებებით, რომელსაც თავად ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანში. ოჯახიშვილობა, პატრიოტიზმი, უბრალოება, თავმდაბლობა, განათლება, შინაგანი კულტურა, მაღალი პასუხისმგებლობა და დიდი საქმეების უხმაუროდ კეთება მისი დამახასიათებელი თვისებები იყო. ბატონი ზაურ ლაბარტყავა იყო „კარგი ყმა", რომელსაც ყოველთვის კარგად ესმოდა „ხმა ღვთისა და ხმა ერისა". საქართველო უკვდავია იმიტომ, რომ მას ჰყავს ასეთი შვილები... ის კაცი იყო... კაცურად იცხოვრა და კაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან. ნათელში იყოს მისი სული.

**უახლოესი მეგობრები**

◉ იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი. ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ძალაშია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულება შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, ხოლო თუ გაუქმებულია, როდიდან?**

**ავთანდილ გულბანი**

**პასუხი:** თქვენ კითხვაში მითითებული ბრძანებულება ძალადაკარგულად არის გამოცხადებული ჯერ კიდევ 2007 წელს — საქართველოს პრეზიდენტის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით — ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

* * *

**კითხვა: ვცხოვრობ თბილისში, ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. მესაჭიროება თირკმლიდან კენჭების ამოღება. სად შეიძლება გამიკეთონ ოპერაცია და რა თანხის გადახდა იქნება საჭირო ამისთვის?**

**ბორის ოგანეზოვი**

**პასუხი:** თქვენთვის საინტერესო საკითხზე გირჩევთ, მიმართოთ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს (თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), სადაც მოგცემენ კომპეტენტურ რჩევასა და კონსულტაციას, როგორც ოპერაციის გაკეთების ისე მისი ღირებულების საკითხებზე.

* * *

**კითხვა: ვიბრძოდი ავღანეთის ომში, საიდანაც ავადმყოფი დავბრუნდი (საბუთები ხელზე მაქვს), მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდა ვიყავი და პენსიონერის სახელი არ მინდოდა, პენსიის დანიშვნაზე არ ვიზრუნე. რაც წლები გადის, მდგომარეობა უფრო მირთულდება, ლამის დავკარგე ყურთასმენა, მაქვს მაღალი წნევა. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ დამეხმარება ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრასა და შემდგომში პენსიის დანიშვნაში?**

**გიორგი გოგიშვილი**

**პასუხი:** გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ (ავღანეთში მიღებული დაავადების დამადასტურებელი ყველა საბუთით) პოლიკლინიკას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საფუძვლიანად გამოიკვლევს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შემთხვევაში, პენსიას სოციალური მომსახურების თქვენი რაიონის სამსახური დაგინიშნავთ.

* * *

**კითხვა: ვარ უკიდურესად ღარიბი, უსინათლო ინვალიდი. ვიღებ ინვალიდობის პენსიას და კიდევ საოჯახო დახმარებას — 22 ლარს. მეზობლები მეუბნებიან, რომ დახმარება 60 ლარი მეკუთვნის. მე კი არ ვიცი, სად წავიდე და ვის მივმართო. იქნებ დამეხმაროთ?**

**ლიანა მიქაძე**

**პასუხი:** იმისთვის, რომ 22 ლარის ნაცვლად 60 ლარი დახმარება მიიღოთ (ორივე ერთად არ მოგეცემათ), საჭიროა, დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში და მოიპოვოთ შესაბამისი სარეიტინგო ქულა. აღნიშნულ საკითხზე მისვლას თუ პირადად ვერ შეძლებთ, საჭიროა თქვენმა ახლობელმა (თქვენი სახელით) მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◉ ალიანჩალიანი

## თბილისში ვერანდების ფესტივალი გაიმართება

როგორც ღონისძიების ორგანიზატორები იუწყებიან, ვერანდების ფესტივალი კომპანია Max Prom-ის ეგიდით, თბილისის მერიის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ყოველ წელს გაიმართება.

კონკურსის ფარგლებში შეფასდება როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ვერანდები



თბილისში. „ვერანდა 2014" მიზნად ისახავს ვერანდების პოპულარიზაციას ბიზნესსფეროში და ასევე, თბილისის მცხოვრებლების წახალისებას ქალაქში ლამაზი ფასადების შექმნისთვის.

კომერციული ვერანდების შეფასება გაყოფილია ორ ნაწილად: პირველ რიგში ვერანდებს აფასებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებით, ასევე ამ სფეროში გამოცდილი პირებისგან. შეფასების მეორე ეტაპია სოციალური კვლევა დიდ ორგანიზაციებში დასაქმებულ 18-დან 55 წლამდე ასაკის პირებში. სოციალური კვლევისა და ჟიურის ქულები დაჯამდება პროპორციით 50-50%-ზე და გამარჯვებული გამოვლინდება.

რაც შეეხება კერძო, არაკომერციულ ვერანდებს, მათ ჟიური ფინალური ტურისთვის გადაარჩევს. საუკეთესო ვერანდების ფოტოები გამოიფინება საფინალო საღამოზე და გამოვლინდება გამარჯვებული.

# ლიტერატურული კონკურსი



**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.**

**საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით:** ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

**დაწესებულია პრემიები**

**სპეციალური პრემია** – 1000 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;

**პირველი პრემია** – 500 ლარი – კახური მეღვინეობის განვითარების კომპანიისაგან;

**ორი მეორე პრემია** – 400-400 ლარი– ახალციხის სამედიცინო ცენტრ „უნიმედი-სამცხესა“ და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალდაგისგან“;

**მესამე პრემია** – 300 ლარი – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისგან;

**ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია** – 500 ლარი – მესხეთის თემატიკაზე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან,

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2014 წლის სექტემბერში, ვარძიაში – „პოეზიის დღის – შოთაობის“ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით. ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები დაიბეჭდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“.

**საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა, უნდა გამოიგზავნოს 2014 წლის 10 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:**

**0500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3;**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.**

**ტელ.: 599979524.**

## რას არ გაიგებ!

# 5 უნიკალური პროფესია, რომელიც სხვაგან არ არსებობს

**ინდოეთი**

სადაზღვევო კომპანია უბილეთოებისთვის – მუმბაიში ყოველდღიურად მატარებლით 6 მილიონამდე ადამიანი მგზავრობს. თითოეულის ბილეთის შემოწმება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა, ამიტომ მათ შერჩევითი წესით ამოწმებენ, ხოლო უბილეთოებს სასჯელი ელით. ამ დროს საქმეში სადაზღვევო კომპანია ერთვება. 100 რუპიის სანაცვლოდ, სქემა უბილეთოს ერთთვიან უფასო მგზავრობასა და კოტროლიორის ჯარიმისგან დაცვას სთავაზობს.

თუ უბილეთოს დაიჭერენ, ის იხდის ჯარიმას და ჩეკს კომპანიაში აგზავნის, სადაც მას გადახდილ თანხას უნაზღაურებენ.

ბიზნესი იმაზეა აწყობილი, რომ კლიენტების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე უბილეთოებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანია მოგებული რჩება.

**ინდონეზია**

მესამე მგზავრი – ჯაკარტაში ჯოკი არის ადამიანი, რომელიც ქუჩაში დგას და მანქანას ელოდება, რომელიც მას მესამე მგზავრად დაიქირავებს, რადგან ჯაკარტაში ავტომობილს, რომელშიც სამი მგზავრია, გადაადგილებას უადვილებენ.

ეს წესი რამდენიმე ქუჩაზეა გავრცელებული და მხოლოდ სამუშაო საათებსა და პიკის საათებში მოქმედებს.

**ირანი**

ნომრების ბლოკირება – ავტომობილების ნომრების ბლოკირება სავარაუდოდ, მხოლოდ თეირანში ხდება. ეს ადამიანები ფულს იმისთვის იღებენ, რომ თქვენ მანქანასთან ისე იარონ, რომ კამერებმა თქვენი ნომრები ვერ დააფიქსირონ. ეს კი მაშინ ხდება, როცა მანქანა განსაზღვრული გადაადგილების ზონაში შედის.

ადგილობრივმა მთავრობამ გზებზე მანქანების რაოდენობა შეზღუდა, რომ ქალაქში მოძრაობა გაეუმჯობესებინათ და მანქანები ლუწ და კენტ ნომრებად დაყვეს, რომ აღნიშნულ ზონაში რიგის მიხედვით ემოძრავათ და ამის კონტროლისთვის კამერები დააყენეს. ზუსტად ასე გაჩნდა ეს უცნაური პროფესია.

**ინდოეთი**

ინდოეთში შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები მატარებლის ბილეთებზე 50-75 %-იან ფასდაკლებას იღებენ. გარდა ამისა, ამ ფასდაკლებას ის ადამიანიც იღებს, ვინც შშა-ს მოჰყვება.

ზოგიერთი მათგანი პურის ფულს ასე შოულობს. მათი მიზანია სხვადასხვა ქალაქებში გადაადგილება და უცნობი ადამიანების აყვანა. უცნობი ადამიანები შშა-ს ბილეთის თანხის მხოლოდ 75 %-ს უხდიან და ამით ფულს ზოგავენ, ხოლო შშა ამით ფულს შოულობს.

სქემა ასე გამოიყურება: დავუშვათ ბილეთი ღირს 100 დოლარი. შშა-სთვის ბილეთი 25 დოლარი ღირს და ასევე იმ ადამიანისთვისაც, ვინც მას მოჰყვება. უცნობი ადამიანი 100 დოლარის მაგივრად, შშა-ს უხდის 75 დოლარს, ხოლო შშა 50 დოლარად ორ ბილეთს ყიდულობს და 25 დოლარი მოგება რჩება. უცნობი ადამიანი კი 25 დოლარს ზოგავს.

**იაპონია**

სულ რაღაც 60 დოლარად საათში თქვენ შეგიძლიათ იაპონიის ერთ-ერთ კაფეში მიხვიდეთ და ქალის (18-დან 30 წლამდე) გვერდით დაიძინოთ. დიახ, მხოლოდ დაიძინოთ და სხვა არაფერი! ეს უცნაური ბიზნესი ხიკიკომორის საპასუხოდ შეიქმნა - მარტოობა, რომლისგანაც იაპონური თანამედროვე საზოგადოება იტანჯება, რადგან ახალგაზრდა ადამიანები ურთიერთობებზე უარს სოციალური ცრურწმენების გამო ამბობენ.

## ცინცხალი ანეკდოტები

**– დამისახელე ერთადერთი მხეცი, ვისიც ლომს ეშინია, – ეუბნება მიხოს მასწავლებელი.**

**– ძუ ლომი, მასწ.**

* * *

**შაბათს დილის 7 საათზე კარზე ზარი დაირეკა. ნაბახუსევი პეტკა კართან მიბანცალდა და გამოაღო. ხედავს, ზღურბლთან მისი სიდედრი დგას.**

**– შეიძლება, აქ ერთი კვირით დავრჩე? – კითხულობს იგი.**



**– შეიძლება! – უთხრა პეტკამ და მაშინვე მიხურა კარი.**

**– შენთვის ვინმეს უთქვამს, რა ჭკვიანი გოგო ხარო?**

**– არა, შენ იქნები პირველი...**

**– არ ვიქნები.**

* * *

**– შენ რა, საერთოდ გამოთაყვანდი? გინდა, რომ ერთი ფილა შოკოლადისთვის ჩაგიწვე ლოგინში?**

**– მაგრამ, ნასტენკა, ეს შოკოლადი ხომ თხილითაა!**

**– ოოო, მაშინ კარგი!**

* * *

**– შეიძლება, რომ ოთხი გოგო ერთ ტაბურეტზე დაჯდეს?**

**– შეიძლება, თუ მას თავდაყირა დადგამენ.**

საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

## ინფორმაცია

### დღეს მუზეუმებს უფასოდ დაათვალიერებთ

**კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 12 აგვისტოს 24 მუზეუმში ახალგაზრდებისათვის შესვლა უფასო იქნება.**

**როგორც სამინისტროში განმარტავენ, ამით უწყება მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს შეუერთდება.**

**– 12 აგვისტოს მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საფუძველი გაეროს ასამბლეის 1999 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით ჩაეყარა და 2000 წლის 12 აგვისტოს ცივილიზებულმა სამყარომ პირველად აღნიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უერთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივას და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, 12 აგვისტოს, საქართველოს 24 მუზეუმში, 29 წლამდე ახალგაზრდებისათვის შესვლა უფასო იქნება, – აცხადებენ სამინისტროში.**

**მათივე განმარტებით, ახალგაზრდებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77; 599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24